


140
1961

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პიონერის 8
1961



პირველად,
 კომუნისტური პარტია
 საქართველოს
 საზოგადოებრივი ურთიერთობები
 საგარეო ურთიერთობები



ქართველი პიონერები ეგებებიან ძმარფას სტუმარს ჩ. ს. ხრუშჩოვს

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის წითელი პიონერთა ორგანიზაციის ჩამსუბუღიკური საბავსო შოველთვიური საბავსო ვუცნალი

რედაქტორი რევაზ მარგანი

სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანძე, შ. ლეზანძე (პ/მგ. მდივანი),

მარიჯანი, რ. ქორქია, რ. ელანძე, გ. ფოცხიშვილი

(სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის წელი

XXV

პიონერი 8
1961

საბავსო
ბიბლიოთეკა



შენ კომუნიზმში იცხოვრებ! ასე გითხრა შენ, მთელ საბჭოთა ხალხს ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ. და ასეც იქნება!

მთელ დედამიწაზე ადამიანთა ბედნიერ ცხოვრებაზე, საუკუნეებით ოცნებობდნენ. ას წელზე მეტი ხნის წინათ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გამოაქვეყნეს პატარა წიგნი—„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, რომელიც მთელ ტომებს უდრის. „აჩრდილი დადის ევროპაში—აჩრდილი კომუნიზმისა“—წერდნენ პროლეტარიატის დიდი მასწავლებლები. მათ არა მარტო იწინასწარმეტყველეს ჩვენი დღევანდელი დღე, არამედ კომუნიზმის ბრძოლის გზაც დასახეს. „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ამ მოწოდებით მთავრდება მანიფესტი.

კომუნიზმში, —ამბობდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი,—ეს ლამაზი ოცნება კი არ არის, ისტორიული მოვლენაა. როგორც ლამეს სცვლის დღე, ისე კაპიტალიზმიც ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრაზე დამყარებული საზოგადოებაც გარდუვლად უნდა შეცვალოს კომუნიზმმა—თანასწორობის სიუხვის და გონიერების სამეფომ.

კომუნიზმისათვის ბრძოლაა საჭირო. კომუნიზმი ბრძოლით მოიპოვება.

ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანები მამაცურად და თავდადებით ებრძოდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის მტრებს. მძიმე და ეკლიანი იყო ეს გზა. ზღვა სისხლია დაღვრილი. უამრავი შესანიშნავი სიცოცხლე შეეწირა ბარიზის კომუნის ბარიკადებს, ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლას, ევროპისა და აზიის ქვეყნებში თავისუფლებისათვის ბრძოლას.

მუშათა კლასისა და გლეხობის ეს ბრძოლა, რომელსაც დიდი ლენინი ჩაუდგა სათავეში, სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა: ჩვენმა პარტიამ განახორციელა პირველი პროგრამა. ხორცი შეისხა ლენინის მიერვე შემუშავებულმა მეორე პროგრამამ. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა.

საბჭოთა ალაშიანების

პარტიამ ახალი პროგრამა დასახა, კომუნიზმის აშენების პროგრამა. კომუნიზმი დედამიწაზე ამკვიდრებს მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, თანასწორობას და ბედნიერებას ყველა ხალხისათვის. აი, რატომ უხარიათ ჩვენს საბჭოთა ადამიანებს, სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანებსაც კი როცა იხილავენ პროგრამის პროექტს.

გრანდიოზულია ეს პროგრამა. ოც წელიწადში საბჭოთა კავშირში ძირითადად აშენდება კომუნისტური საზოგადოება. შექვევლია გაგონილი გეგნება რას ამბობდა ილიჩი კომუნიზმზე: „კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“, და პარტია ისახავს, ამ ხნის განმავლობაში განახორციელოს ჩვენი ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაცია. ეს საშუალებას მოგვცემს ისე ავამაღლოთ ჩვენი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, რომ ერთ სულ მოსახლეზე მივიღოთ გაცილებით მეტი პროდუქტია, ვიდრე ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში იღებენ.

ერთ სულ მოსახლეზე ოცი წლის მანძილზე შემოსავალი სამნახევარჯერ და უფრო მეტად გაიზრდება.

ჩვენში განხორციელდება სავალდებულო საშუალო განათლება. ვინც მოისურვებს შეეძლება უფასოდ ისწავლოს სკოლა-ინტერნატში; აღარც სასკოლო ტანსაცმლის და საუზმისათვის იქნება ფულის გადახდა საჭირო. უფასო იქნება წამალი, სანატორიუმებში მკურნალობა, უფასოდ ვივლით მეტროთი და ტრამვაით, ავტობუსით და ტროლეიბუსით.

ყველა ოჯახი იცხოვრებს ცალკე კეთილმოწყობილ ბინაში, სადაც წყალი, გაზი, გათბობა უფასო იქნება. საბჭოთა კავშირში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე იქნება.



ჩვენს ქვეყანაში აღარ იარსებებს მუშათა კლასი და გლეხთა კლასი, ინტელიგენცია, წაიშლება ზღვარი ქალაქსა და სოფელს შორის. ადამიანები მრავალმხრივად განვითარებული იქნებიან. განსარციელდება პრინციპი თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით.

ეს მთელი საბჭოთა ხალხის, თითოეული საბჭოთა ადამიანის ცხოვრებისა და შრომის პროგრამაა. კომუნისში ყოველი ჩვენგანისაგან დიდ შეგნებულობას, დისციპლინას, ორგანიზებულობას და შრომისადმი სიყვარულს მოითხოვს.

პარტია ფიქრობს ჩვენი ხალხის აღზრდაზე, მის შემოქმედებით ზრდაზე, მისი სულიერი ძალები. სა და ნიჭის განვითარებაზე. პარტიის პროგრამა ასახავს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მორალურ კოდექსს. აი, ეს მორალური პრინციპები:

— კომუნისში საქმისადმი ერთგულება, სოციალისტური სამშობლოსადმი, სოციალიზმის ქვეყნებისადმი სიყვარული;

- კეთილსინდისიერი შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ: ვინც არ მუშაობს, ის არ სჭამს;
- თითოეულის ზრუნვა საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის;
- საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, შეუწყნარებლობა საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევებისადმი;
- კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის;
- ჰუმანური ურთიერთობა და ურთიერთპატივისცემა ადამიანთა შორის: ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმა;
- პატიოსნება და სიმართლე, ზნეობრივი სიწმინდე, უბრალოება და თავმდაბლობა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში;

- ურთიერთპატივისცემა ოჯახში, ზრუნვა ბავშვების აღზრდისათვის;
- შეურიგებლობა

ახლანდელი თაობა

ბა უსამართლობისადმი, მუქთახორობისადმი, უპატიოსნობისადმი, კარიერიზმისადმი:

— სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობა და ძმობა, შეუწყნარებლობა ეროვნული და რასობრივი მტრობისადმი;

- შეურიგებლობა კომუნისში, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმის მტრებისადმი;
- ძმური სოლიდარობა ყველა ქვეყნის მშრომელებთან, ყველა ხალხთან.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პარტია თქვენს — ბავშვების, მოზარდების აღზრდას. საბჭოთა ადამიანებს სურთ იყოს სიცოცხლით აღსავსენი, სამშობლოს, პარტიის, კომუნისში საქმისადმი ერთგულნი.

ზოგიერთი თქვენგანი ფიქრობს, რომ კომუნისში მოულოდნელად გვეწვევა. გაოფლიტებ ერთხელ დილით და უკვე კომუნისში იქნება. გაივლი ქუჩაში და შეექცევი უფასოდ კამფეტებსა და ნაყინს. არა, კომუნისში თანდათანობით შეიქმნება და შენ ხარ მისი მშენებელი. ჩვენ კომუნისში ვაშენებთ და ისტორია არ გვაპატიებს თუ უდარდელად მოვეკიდებით იმას, რაც ასეთი დიდი შრომის შედეგად არის მოპოვებული. ჩვენ მშვიდობას ვიცავთ, ვიცავთ მშვიდობიან თანაარსებობას ყველა სახელმწიფოსთან, მაგრამ ვიდრე არსებობს იმპერიალიზმი, მანამ ჩვენ გვეყოლება შეიარაღებული ძალები და არმია. ყოველ საბჭოთა ადამიანს საპატიო საქმედ მიაჩნია მშობლიური მიწა-წყლის დაცვა.

ჩვენ ბევრნი ვართ. მთელი კაცობრიობის მესამედი სოციალიზმის და მშვიდობის გზით მიდის. მსოფლიო სოციალისტური სისტემა დედამიწაზე მშვიდობის დაცვისათვის იბრძოლებს. ხოლო მშვიდობა და კომუნისში ერთმანეთისაგან განუყოფელია.

ბევრი, დიდი საქმის გაკეთება მოუწევს ჩვენ ხალხს და შენი ხელები, შენი მხურვალე გული ყველგან საჭირო იქნება.

პიონერო, იყავ მზად შრომისათვის, შემართებისათვის, აღმოჩენებისათვის, კომუნისში აშენებისათვის საბრძოლველად!

იხსოვრებს კომუნისში ღროს!

ქვემო კვათი



სოსო იორაბავილი

ნახ. რ. ტუცირიძისა

მ ო თ ხ რ ბ ა *

მადლობა როგორ გადაუხადეს ჩემმა მეგობრებმა ირანელს, ის არ გამიგია ჩაკეტილს, მხოლოდ ეტლზე რომ დამდეს, ის კი გავიგე და თანაც ტუხას შემოძახილი შემომესმა:

— ჰა, ისევა გძინავს? გასწი!

ამ დროს ვიგრძენი, როგორ გარევეს ცხენები. გზაში ქვაფენილზე ცხენის ფლოქვების თქაფა-თქუფში რამდენიმე სროლის ხმა შემომესმა და მომეჩვენა, თითქოს შალვამ და ტუხამაც ისროლეს, ხოლო ეტლმა უფრო უმატა სიბილს. მერე სროლის ხმა მიწყდა და სიბილიც შევიანელეთ. ყუთს თავსახური რომ ახადეს ბიჭებმა, მეტეხის ხილებთან, დახურულ ბაზარში ვიგრძენი თავი.

* * *

კარგად ჩატარებული ოპერაციის გამო გადაგვკოცნეს და მოგვილოცეს.

ხოლო ერთხელ ბიძაჩემმა ცალკე მითხრა: შენზე უფროს ამხანაგებს კარგი წარმოდგენა აქვთ და უპე მებრძოლი ბიჭების ოქროს ფონდში ჩაგრიცხესო.

როდესაც ვკითხე, თუ სხვები ვინ იყვნენ ამ ოქროს ფონდში, ბიძაჩემმა რამდენიმე კაცი დამისახელა და ბოლოს მითხრა: ვინა და, ის შალვა და ტუხა. შენთან რომ იყვნენ, ნამდვილი ოქროს ბიჭებია. მავათ გარდა, აი, რამანი, ყველა ჩემიანს მისცეს გასაჭირში, თავს მოიკლავს და ამხანაგს არ უღალატებს.

ბიძაჩემმა თავის თავზე აღარაფერი თქვა, თორემ მე ვიცოდი, რომ ის რამანზე ნაკლებ ანგარიშზე არა ჰყოლიათ...

ასე დამთავრა ჩემი პირველი გამოცდა. ხოლო ამ ამბის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს რამანი შემხვდა და გახარებულმა მითხრა: მომილოცინია, გაიოზ! იმ ოპერაციის შემდეგ სხვა უფრო სერიოზულ სამუშაოზე გაგზავნიან უფროსი ამხანაგები და ჩვენსაირ „ბანდიტებთან“ აღარ გექნება საქმეო.

მართლაც, არ გაუვლია დიდ ხანს, იმ უფროსმა ამხანაგებმა თავისთან დამიძახეს და მოკლედ გამაცნეს ჩემი ახალი მოვალეობა, თუ რა სამუშაო უნდა შემესრულებინა იმ ახალ უბანზე, სადაც გაგზავნას მიპირებდნენ.

— შენ განათლებული ბიჭი ყოფილხარ, გაიოზ! — მითხრა ერთმა შეხვალათიანმა და შეაფლავა ამხანაგმა, რომელსაც ზაქარია ერქვა. — ამავე დროს, როგორც საჭიროა, ნერვებიც თავის ადგილას გქონია და სწორედ ასეთი კაცი გვჭირდება ჩვენ. ამიტომ გადავწყვიტეთ გაგზავნოთ ერთ მეტად სერიოზულ საქმეზე. ეს არის სა-

იღუმლო სტამბა. იქ შენ ჩვენგან მიიღებ მზამზარეულ ტექსტს. ის უნდა ააწყობინო იმ სტამბაში, დაბეჭდვით და ზუსტად დაიცვა დედანი. არც ერთი სიტყვა არც ერთი ასო, ან წერტილ-მძიმე არ უნდა შეიცვალოს. შეხვე გაასწორებ კორექტურას და ჩვენგან მითითებულ დროზე უზრუნველყოფ მის გამოგზავნას ამისათვის საგანგებოდ გამოყოფილი ამხანაგის ხელით.

გარდა ამისა, სტამბასთან ერთად იქნებოდა იარაღის საწყობი და შესაკეთებელი სახელოსნო, სადაც აგრეთვე დავამზადებდით ბომბებს. იქ დამზადებული ბომბებისა და საწყობიდან იარაღის გაცემის აღრიცხვა კომიტეტმა შენ დაგავალა, აბა, შენ იცი, როგორც შეასრულებო, — მითხრეს და გამომიშვეს.

ამ ინსტრუქტაჟის მიღების შემდეგ, ერთ ბნელ ღამეს გლეხური ტანისამოსი გადაამაცვეს, ცხენზე შემხვეს და საიდუმლო გამოქვაბულში მიმიყვანეს. აქ დამხვდა მართლაც ჯერ ისევ მოსაწყობი სტამბა და სახელოსნო. ამ ორივეს მოწყობაზე დიდის გულმოდგინებით მუშაობდნენ ბიჭები, მაგრამ ერთი ისეთი წვრილმანი რამ გამორჩენილათ, რომლის გამოც სტამბის გამოყენება შეუძლებელი ხდებოდა.

ეს წვრილმანი კი ის იყო, რომ ყველაფერი ეშოვნათ, რაც საჭირო იყო სტამბისათვის, გარდა საშირფტე სალაროებისა, ურომლისოდაც შრიფტს ვერ გამოიყენებდნენ და აქედან ცხადია, ტექსტის აწყობაც ვერ მოხერხდებოდა.

მაშინ ბიჭებმა გადაწყვიტეს, ერთ-ერთი მახლობელი სოფლიდან ვინმე დურგალი მოეყვანათ და ნახაზის მიხედვით გაეკეთებინა სალაროები. მაგრამ შიშობდნენ, არსად წამოეყვანებინა იმ დურგალს. ბოლოს ერთმა ხელოსანმა, რომელსაც გიგოს დავარქმევდი, ასეთი წინადადება წამოაყენა:

თვალახვეული მოვიყვანოთ დურგალი, გავაკეთებინოთ საქმე, ისევე თვალახვეული გავაცილოთ აქედან შორ მანძილზე და რას მიხვდებათ.

მართლაც, ეს წინადადება ყველას მოეწონა და ორი დღის შემდეგ, ერთი თვალახვეული და ძალზე შეშინებული კაცი შემოიყვანეს გამოქვაბულში. იგი კარგი ხელოსანი გამოდგა, მაგრამ იმ მრავალუჯრედიანი ნივთის შესახებ წარმოდგენაც კი არა ჰქონდა და დაინტერესებულმა იკითხა:

ბიჭებო, ღმერთი, რჯული, მე თქვენი გამცემი არა ვარ, ძალიან კარგად ვატყობთ, რომ ერთობის ხალხი უნდა იყოთ, მაგრამ ეს მაინც მითხარით, ამისათვის რომ მაწვალებთ, რა გამოსადეგიაო.

მაშინ ერთ-ერთმა ამხანაგმა უბასუხა:

რის ერთობა, რომელი ერთობა! შენ სიცხე ხომ არა გაქვს?! ვერა გვხედავ, ყაჩაღები ვართ! ამ უჯრედებში ოქროს ფულები უნდა ჩავაწყოთ და შევიწახოთ. გაფრთხილებ, თუ სიტყვა დაგცდენია ვინმესთან, რაც აქა ნახე, მაშინ ცოლ-შვილიანად და ნათესავიანად სულ ამოგწყვეტავთო. ამით დააშინა და სულ დააბნია დურგალი. საქმეს რომ მორჩა, ისევე თვალახვეული გავაცილეს, და გაჩაღდა მუშაობა.

სტამბაში ორი კაცი მუშაობდა — ერასტი და გიგო, რომელთა აწყობილ ტექსტს წაკითხვაც არ უნდოდა, შეგვეძლო დაგვებეჭდნა, მაგრამ მე მაინც ვკითხულობდი და მიდიოდა ცხელ-ცხელი ლავაშებივით ჩვენს გამოქვაბულში დაბეჭდილი ფურცლები ცხენით თბილისში.

ასევე ხელოსნები — ვიქტორი და სანდრო ბომბებს აკეთებდნენ და ვინახავდით, სანამ მოწერილობა არ მოგ-

* გავრძელება. იხ. „ბიონერი“ № 6—7.

ვივილოდა, ამდენი და ამდენი ცალი „ვაშლი“ გამოგზავნეთო.

მაგრამ ჩვენს საქმიანობაზე უანდარმერამ ეჭვი აიღო და გაფაციცებით დაგვეძებდა ყველგან. ამიტომ ორგანიზაციიდან მკაცრი ბრძანება მივიღეთ, ყველას ბერის ტანისამოსი უნდა ჩაგვეცვა, თმა-წვერი მოგვეშვა და ისე დაგვეჭირა თავი, ვითომც ამ ღვიმეში წირვა-ლოცვისათვის ვიყავით შეხიზნულები, ვადიდებდით უფლის სახელსა და ვევედრებოდით გადაერჩინა ქვეყანა წარღვნისაგან.

ამისათვის ყველამ მივიღეთ საგანგებოდ შეკერილი ბერის ანაფორები, თავზე დასახური ჩაჩები, ფსალმუნები და ვითომ იმათი კითხვით ვიყავით გართულნი.

ბომბებს თუ მანამდე „ვაშლებს“ ვეძახდით, ახლა სასულიერო სახელი — „სეფისკვერები“ უნდა გვეწოდებინა, თოფებისათვის — „კელატრები“, რევოლვერებისათვის — „სანთლები“, ვაზნებისათვის — „საკმელი“.

სიფრთხილისათვის კი, თბილისიდან გამოგზავნილი კაცს რომ არავინ ასდევნებოდა და ჩვენი გამოქვაბულისათვის არ მოეგნოთ, გადავწყვიტეთ, გამოქვაბულის შესავალზე სახელდახელოდ ერთი პატარა საყდარი აგვეშენებინა. თუ ჯამში ჩვენამდე მოაღწევდა, ეკლესიაში მას რომელიმე მორიგე „ბერი“ შეხვდებოდა და გამოქვაბულში მყოფთ ნიშანს მისცემდა, რომ მუშაობა და ხმაური შეეწყვიტათ.

ეკლესიის აშენება მაინც ძნელი არ იყო, რადგან ირგვლივ შესანიშნავი საშენი მასალა ეყარა კლდიდან ჩამომლივი ფიქალის სახით. ქვიშა პატარა მდინარე ხმაურას ტოტს კლდეებიდან აუარებელი ჩამოქონდა. ერთადერთი ჩვენი გასაჭირი იყო კირის მოტანა და ისიც მოვახერხეთ. მერე კი, რომ დავესიეთ ეს შავკაბიანი ბერები, ორ თვეში შესანიშნავი საყდარი წამოვჭიმეთ და საბრძოლო სახელი — „ძღვეის ჯვარი“ ვუწოდეთ.

მართალია, ბევრი ვიწვალეთ, მაგრამ სამაგიეროდ საგულდაგულოდ შევნიღბეთ გამოქვაბულში შესასვლელი ხვრელი, რომელიც მანამდე ადვილად შეიძლებოდა აღმოეჩინათ.

მშენებლობის დროს შემთხვევით გამოვლილი მეცხვარეები უყურებდნენ ამ ანაფორადაკარწახებული „ბერების“ წვალებას და დასცინოდნენ: ქვეყანა ინგრევა, წმიდა მამებო, რა დროს ეკლესიის აშენება არისო.

ხოლო ამ დროს რომელიმე ჩვენთაგანი სასოებით აღაპყრობდა ხელებს მალა და ეტყოდა: — ჰოი, უფალმან შეგინდოს, შვილო ჩემო, რამე თუ არა უწყის, რასაც უნებობ პირითა ცოდვილითაო.

დანარჩენი „ბერები“ კი ამ დროს ცბიერად იღიმებოდნენ დაფანხულ წვერ-ულვაშში, მაგრამ მეცხვარეები რას შეატყობდნენ?!

ერთხელ, საყდრის მშენებლობა რომ დავამთავრეთ, თბილისიდან კომიტეტის წევრები — ზაქარია და ანდრო, ვითომ მწვევარ-მეძებრებით წამოსული მონადირეები ყოფილიყვნენ, კარს მოგვადგნენ, დაათვალიერეს შენობა და ძალიანაც მოიწონეს, მაგრამ თბილისიდან კარგი ამბავი მაინც და მაინც ვერ ამოიტანეს: ბევრი მეგობარი დაეჭირათ, გადაესახლებინათ და კიდევ ბევრს მოელოდა თურმე დაჭერა...

ამიტომ ჩვენი სტამბა და ბომბების საკეთებელი სახელოსნო დროებით შეწყვეტდნენ მუშაობას, ასეთი იყო, თურმე, კომიტეტის გადაწყვეტილება. ხოლო ზაქარიამ ცალკე გამიხმო და მითხრა:

— აბა, გაიოზ, ახლა გჭირდება სწორედ ყველაზე დიდი

ნებისყოფის გამოჩენა. იქ ვითათბირეთ და შენზე შეგახერეთ არჩევანი.

ამ გამოქვაბულს დღეიდან ყველა დატოვებდა და შენ აქ უნდა დარჩე ნამდვილი ბერივით. ჯერ ~~წერა~~ გამოქვაბულთან კიდევ საჭიროა კავშირი გვექონდეს, რადგან ამას იქით იგი იარაღის საწყობად გადაკეთდა. დამლაშობით ჩვენს მიერ გამოგზავნილი კაცი მოგიტანს იარაღს და ჩავაბარებს ეკლესიაში. შენ კი გამოქვაბულში შეიტან და საიმედოდ დააბინავებ, რომ არ დაიქანვოს.

ოღონდ გახსოვდეს, ეკლესიიდან გამოქვაბულში შესვალ ხვრელს არამც და არამც არავის აჩვენებ. გესმის? უნდა იცოდნენ, რომ შენ ეკლესიაში ხარ და სხვაგან არსად. რაც შეეხება შენს უზრუნველყოფას სასამელ-საკმელით, ჩემო გაიოზ, ამაზე ნუ გედარდება. ყველაფერი საქმით და თავის დროზე გექნება. მთავარია, გული არ გაიტეხო და არ მოიწყინო.





ადვილი სათქმელია, არ მოიწყინო! ჯერ ამ მიყრუებულ გამოქვაბულში ამხანაგებთანაც არ იყო ადვილი გაძლება და ახლა მარტო მარტო უნდა დავრჩენილიყავი. მოდი და ნუ მოიწყენ-მეთქი! მაგრამ თანაც ვფიქრობდი: ხალხი ამაზე უფრო ძნელ დავალბებებს ასრულებს, სიცოცხლეს სწირავს და მე რაღა მეთქმის-მეთქი. ეგ იყო, რომ მარტო უნდა დავრჩენილიყავი, თორემ არც ერთ კურორტზე ნაკლები ჰაერ არ არის ამ ადგილებში, სადაც ჩვენი, კლდეზე მიბმული ეკლესია მდებარეობს. მერედა სხვას რომ თავი დავანებოთ, ყოველთვის მახსოვდნენ ჩემი პირველი მასწავლებლები — ბიძაჩემი მიშა და რამანი, რომელთა საგმირო საქმეებზე მაშინ მთელი საქართველო ლაპარაკობდა, არ მინდოდა მათი შერცხვენა. ამიტომ ძია ზაქარიას უარი ვეღარ ვუთხარი და მეორე დღიდან მართლაც მარტო დავრჩი.

* * *

რა თქმა უნდა, გაიოზის ჩანაწერები აქ არ დამთავრებულა. იმ სისქე ურნალის თითქმის ნახევარზე მეტი შეევსო სხვადასხვა წვრილმანი ამბებით, მაგრამ მათი გადმოწერა მაინც და მაინც არ მომეჩვენა აუცილებლად და იმასაც დაუშვებდა, რომ მის მიერ ნახსენები ამხანაგები შემდეგ წლებში თითქმის პირწმინდად ყველანი ჟანდარმებს ჩავარდნოდნენ ხელში და ციხეებში გადაესახლებინათ. გაიოზი ყველაზე ცალ-ცალკე წერდა დაწვრილებით, თუ ვინ როდის და სად დაიჭირეს, ან ვინ გასცა ისინი.

იმ ჩანაწერებიდან ისიც კი ვერ დავადგინეთ, თუ თვითონ ამ ჩანაწერების ავტორი, გაიოზი, რომელ წლამდე მოღვაწეობდა ჩვენს მიერ ნაპოვნ გამოქვაბულში და ბოლოს რა ბედი ეწია მას. სად წავიდა, რა შეემთხვა — არც ის ვიცი. ერთი კი ცხადია, ცოცხალი რომ ყოფილიყო გაიოზი, გამოქვაბულს ან არ მიატოვებდა, ან არა და, ამ ჩვენს დროში მაინც გააცხადებდა.

ჩანაწერების კითხვაში გართულს საღამო ისე დამაცხრა თავს, რომ ვერც კი შევამჩნიე — მომშინოდა. ბიჭები კი ჯერ არსად ჩანდნენ. სანამ ბიჭები დაბრუნდებოდნენ ცოტა პური წავიმტვრიე, იმით მინდოდა თავი შემეყოლიებინა, მაგრამ ბიჭები ჯერ კიდევ იგვიანებდნენ და ამაოდ მეჭირა ყური იმათ მოახლოებული ლაპარაკის გასაგონად.

დიდხანს ვიწეკი გულდაღმა ეკლესიის წინ და ფიქრში წასული თვალს ვადევნებდი ღამურების ფერხულს, რომლებიც გამოქვაბულიდან გუნდებად გამოიშალნენ.

ბიჭები კი არა და არა ჩანდნენ...

რატომ დაიგვიანეს? რა შეემთხვათ? — თანდათან შევფიქრიანდი და ათასი რამე წარმოვიდგინე: ვაი თუ, თოფი გაუვარდათ, რომელიმე დაშავდა და ველარ მოაღწიეს ჩემამდე? ხან ვიფიქრე, ბელებიან დათვებს ხომ არ გადაეყარნენ და გამძვინვარებულმა ძუ დათვმა ხომ არ დატორა-მეთქი, და ვინ იცის რა არ ვიფიქრე. ახლა მეტი შიში შემეპარა, ცეცხლი დავანთე და განვაგრძე ლოდინი. ძილი გამიტყდა. მთელი ღამე ცეცხლს ვაბრიალებდი.

ღამე ასე გავატარე და დილის ბინდი რომ გაიცოცხლა, გულში ცოტა იმედის შუქი ჩამიდგა. მეგონა ჩემი ბიჭები მზის ამოსვლასთან ერთად საიდანმე გაჩნდებოდნენ, მაგრამ თვალები დამებრია აქეთ-იქით ამაოდ ყურებით. აი, თუ გინდა შარი ეს არის-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის. რა ძალა მადგა, რა მრჯიდა, ეს სხვისი შვილები რომ წამოვიყვანე! რა პასუხი გავცე ახლა იმათ მშობლებს სახლში რომ დავბრუნდები? არა და, აქ როდემდე უნდა

ვიჯდე? მეტი ჯანი არ იყო, ცოტაც კიდევ ვიცადე. არიყ რაჟა თუ არა, საყდარში პატარა წერილი დამტოვე. რომელშიაც ვწერდი, თუ მოხდებოდა ისე, რომ გზაში ამცდებოდნენ და სხვა მხრიდან მოვიდოდნენ, აღარსად წასულიყვნენ ჩემს დაბრუნებამდე.

გამოქვაბულიდან ერთი რევოლვერი ავიღე, ორმოციოდე ვაზნაც ჯიბეში ჩავიყარე და გავუღდე გზას. გზას-მეთქი, ვამბობ, თორემ რა ვიცოდი საით უნდა წავსულიყავი? იმ ბეჭობს გადავცდი თუ არა, რომელსაც წინა დღეს ბიჭები მიეფარნენ, ჩემს წინ ზღვასავით გადაიშალა ერთფეროვანი, ფოთლოვანი ტყეებით დაფარული გორაკებიანი სივრცე. აბა, თუ კარგი ბიჭი ხარ, მიხვდი საით წავიდოდნენ სანადიროდ ყმაწვილები-მეთქი! — ვეუბნებოდი ჩემს თავს.

ვუყურებდი გარემოს და ვფიქრობდი: ასეთ ტევრში მართლაც რომ გზა დაბნეოდათ ყმაწვილებს, გასაკვირი არ იყო. მივდიოდი იმ დაბურულ ტყეში და ნელ-ნელა დასავლეთისაკენ გიკვლევდი გზას.

უცბად, სიჩუმეში გარკვევით გავიგონე საიდანღაც მოტანილი მამლის ყვირილი, რომელიც, ეტყობოდა, ძალიან შორს უნდა ყოფილიყო, მაგრამ განარებულმა გაფაციცებით მიეუგდე ყური, მეორედაც რომ დაიყვილებდა, მისი მიმართულება გამეგო და სწორედ იქით წავსულიყავი.

მამლის ყვირილი კიდევ რამდენიმეჯერ გავიგონე და მიმართულებაც დაახლოებით დავადგინე: იმ ადგილიდან, სადაც მე ვიმყოფებოდი, ჩრდილო-დასავლეთით უნდა წავსულიყავი და იქ შეიძლებოდა შევხვედროდი დასახ-





ლებულ პუნქტს. გავწიე იმ მიმართულებით და მალე ერთ ფერდობზე საურმე გზას წავაწყდი, რომლის ბოლოში, შორს, ბუხრიდან ამომავალი კვამლის სვეტი შევნიშნე. ჯერ სოფელი მეგონა და გამეხარდა, მაგრამ ახლოს რომ მივედი, მარტო ერთი პატარა ქოხი შემრჩა ხელში, რომელშიც მეტყევე ცხოვრობდა და ის, სიბნელესთან მებრძოლი ერთად-ერთი მამალიც თურმე მას ეკუთვნოდა.

მაღალი, პირხმელი და ძირს დაშვებული ჯაგარა უღვაშიანი კაცი განცვიფრებული შემომცქეროდა, რადგან ვერ წარმოედგინა თუ საიდან გავჩნდი იმ უსიერ ადგილებში. პერანგის ამარა დადიოდა თავის კარმიდამოში. ეტყობოდა, მარტოობის გამო ლაპარაკს იყო მონატრებული. რომ სულ ორიოდღე წუთში გამაცნო თავისი თავი და ჩემი ვინაობაც გაიგო, მაგრამ რაკი გავიგე, რომ ჩემი ბიჭების ამბავი არაფერი იცოდა, მალე დავცილდი, რითაც უკმაყოფილო დარჩა.

ერთი საათის სიარულის შემდეგ სამანქანო გზიდან აქ-იქ ფერდობზე მთის პატარა სოფელი შევამჩნიე და იქით გავიმართე, იქნებ იქ მაინც გამეგო დაკარგული ბიჭების ამბავი. მაგრამ სოფელში მათი თვალის დამკვრელი არავინ შემხვედრია.

რალს ვიზამდი? ცოტაოდენი პური და ყველი ვიყიდე და უკან დავბრუნდი. შუადღისას ჩემს ნაცნობ მეტყევესთან შევედი და მან ისეთი რამ მიაშპო, რომ, იმ დღით თუ მისი ლაპარაკი ახირებულ ყბედობად მომიჩიქრა, ახლა მის ყოველ ნათქვამს დიდი გულდასმით ვისმენდი, რავგან მან ჩემი ბიჭების ამბავი დამახვედრა.



თურმე წინა დღეს ჩვენი ბიჭები საქართველოს სატყეო მეურნეობისა და ნაკრძალების სამონაღმრო მეურნეობის მთავარ სამმართველოს მუშაკებს საქართველოში დაეჭირათ შვლის მოკვლისა და უნებართვოდ იარაღის ტარების გამო და მეტყევესთან ჩემი განშორების ერთი საათის შემდეგ მანქანით ჩამოეტარებინათ თბილისისაკენ მიმავლებს. მეტყევეს ეთქვა, მაგ ბრაკონიერ ბიჭებს ერთი კაცი დაეძებსო, მაგრამ მისთვის ასე ეპასუხნათ: ჰოდა, თუ ეძებს, უთხარი, თბილისში მოგვაკითხოსო!

ყველაფერი ცხადი იყო: შვლის მოკვლის უფლება, მართალია, მე მივეცი ბიჭებს, მაგრამ ნაკრძალის მცველებს მაინც შეეძლოთ დაეჭირათ ისინი, რადგან მათ არ იცოდნენ ვინ გაგზავნა ყმაწვილები და რა მდგომარეობის გამო დაავალა შვლის მოკვლა. მხოლოდ იმას ვენახობდი, რომ სანადირო თოფის ნებართვა ვერ გავატყე და ახლა — უნებართვოდ ნაკრძალში ნადირის მოკვლისათვის მთლად ნამდვილ ბანდიტებად ჩათვლიდნენ. ამიტომ უშალ გამოქვაბულისაკენ გავწიე, რომ იქიდან გაიოზის ჩანაწერები და ზოგიერთი წვრილმანი ნივთები წამელო თბილისში და ამავე დროს ალალ-მართალ ბიჭებს დროზე მივევლებოდი.

* * *

საყდარში ჩემი წერილი როგორც დავტოვე, რა თქმა უნდა, ისევე ხელუხლებელი დამხვდა და არც გამკვირვებია. ცოტა ხანს ეკლესიის წინ თელების ჩრდილში შევისვენე და ჩავფიქრდი: გაიოზ „ბერის“ მიერ ნაწარმოები ქურნალები წამელო თუ იქვე, თავის ადგილზე დამეტოვებინა, რადგან ხომ შეიძლებოდა გზაში რაიმე ხიფათი შემმთხვევოდ და ისინი ან დამკარგვოდ, ან დამზიანებოდ, მაშინ ხომ ვერავითარი ნაამბობით ვეღარ ავანაზლაურებდი დანაკლისს, რაც იმ ჩანაწერების დაკარგვით მოუვიდრდათ მეცნიერ-მკვლევარებს გამოქვაბულის გაცნობისა და შესწავლის დროს.

ამ ფიქრებში რომ ვიყავი გართული და გადაწყვეტილება მივიღე, რომ მოულოდნელად ბუჩქებს შორის მომაკლ გიას მოვკარი თვალი და გახარებული წამოვხტი შესაგებლად. თან ნიკუშასა და ჯაბას ვათვლიერებდი, მაგრამ მარტო ვია მოდიოდა სანადირო თოფით, დაღლილ-დაქანცული და ძალზე ფერდაკარგული.



თუმცა ჩემთვის მოულოდნელი არ იყო მათი დაპატიმრების ამბავი, მაგრამ გიას გატანჯულმა სახემ მაინც შემამოფოთა და ვკითხე.

— რა არის, ბიჭო, რა მოგივიდა?! ნიკუშა და ჯაბა სადღა არიან-მეთქი.

— ისინი იქ არიან, ძია ლადო! — გაიშვირა ვიამ ხელი იმ მხარეს, საიდანაც თვითონ მოდიოდა და განაგრძო: — ნიკუშას ფეხი ეტკინა. ვეღარ იარა და ჯაბა იმასთან დარჩა: მე კი თქვენთან წამოვედი ამბავის შესატყობინებლად.

— რა? რა მოუვიდა ფეხზე? როგორ იტკინა? — შეკვივითხე, თითქოს არა მცოდნოდა მათი დაპატიმრების ამბავი და სახეში ჩავაშტერდი ვიას.

— ძია ლადო! ნიკუშამ ფეხი მართლა იტკინა, მაგრამ ისე კი არა, რომ აქამდე ვერ მოსულიყო. არა, იმასა და ჯაბას სცხვენიათ, ამიტომ მე გამომგზავნეს და მითხრეს: — წადი, ყველაფერი უამბე ძია ლადოს, რაც მოგიხდა, და თუ გვაპატიებს, მაშინ შენ შეგვატყობინე და მოვალთ,



პატიებას თხოულობთ. სანადიროდ მე თვითონ გადავზავ-
 ნეთ და შვლის მოკვლაც მე დაგავალეთ. მტკიან რომ ურ-
 ფერი არა ყოფილა. ამაზე რა პატიებასა თხოულობთ?
 ვია ერთ წამს შეჩერდა და თავი ჩაღუნა. რალაცის თქმა
 უნდოდა, შეყოყმანდა ჯერ, მერე კი ხელი ჩაიქნია და
 მიაშობო:

— ძია ლადო! აქედან წასვლის დროს რომ თოფები
 გთხოვეს ჯაბამ და ნიკუშამ, ხომ გახსოვთ? თქვენ მაშინ
 უარი გვითხარით, მაგრამ უტრანალების კითხვით იყავით
 გართული და ამით ვისარგებლეთ, — სამივემ თითო რე-
 ვოლვერი მოვიპარეთ გამოქვამბულის საწყობიდან, ოც-
 ოცი ვაზნით. ოღონდ, მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი,
 როცა დავბრუნდებოდით, ისევ თავის ადგილზე დაგვე-
 წყო და თქვენთვის არაფერი გავგვეგებინებინა. მაგრამ ასე
 აღარ გამოგვივიდა.

ემშაკად, თურმე ნაკრძალს წავეყდომოდით, სადაც ში-
 ნაური ცხოველები ბალახობდნენ ირმებისა და შვლე-
 ბის ჯოგები. გახარებულებმა ვიძრეთ რევოლვერები და
 ავუტეხეთ შვლებს ბათქაბუთქი. მაგრამ მალე დავრწ-
 მუნდით, რომ რევოლვერებით შვლის მომკვლელი არც
 ერთი არ ვიყავით. მაშინ ნიკუშამ რევოლვერი ისევ ქა-
 მარში გაიჩქო, გამომტაცა სანადირო თოფი და სულ მა-
 ლე ერთი რქიანი, მამალი შველი წამოაკოტრიალა. რო-
 გორც თქვენგანა გვქონდა დაბარებული, ის ვიკმარეთ.

რაკი მთლიანად შვლის ტარება იმ ღადა-ღუდა გზებ-
 ზე გავვიჭირდებოდა, გავატყავეთ, ავიჩხეთ, სამივემ თა-
 ნაბრად ჩავილაგეთ ზურგჩანთებში და ის იყო წამოსე-
 ვლას ვაპირებდით, რომ ავტომანქანით მოგრიალდნენ ყა-
 რაულები. სანამ ჩვენ რამეს მოვიფიქრებდით, ისინი ია-
 რალმომარჯვებულნი გარს შემოგვეხვივნენ და წინადადე-
 ბა მოგვცეს: გაქცევა, ან წინააღმდეგობის გაწევა არავინა
 სცადოთ, თორემ გესვრიათ.

ყველაფერი ნათელი იყო. შვლის ტყავი იქვე ჩვენს
 გვერდით ჩირგვზე ეკიდა. რალა გვეთქმოდნენ? ისევ ავუხსე-
 ნით ვინც ვიყავით და ვუთხარით, რომ სურსათი შემოგ-
 ვაკლდა, ექსპედირციის უფროსის მიერ ვარ გამოგზავნი-
 ლები და იმის ნებართვით მოკვალით მხოლოდ ერთი შვე-
 ლი. ამაზე სულ გაღაირივნენ ყარაულები.

მერე რევოლვერებიც რომ დავგინახეს ქამარში გაჩ-
 რილი, განცვიფრდნენ და ბოროტი თვალთ დაგვიწყეს
 მზერა: — მაინც რა მიზნით დადის ის თქვენი ექსპედი-
 ცია, რომელსაც ასეთი იარაღის ტარება სჭირდებაო.

რა უნდა გვექნა? გამოქვამბულის შესახებ არაფრის
 თქმა გვინდოდა და რით გვემართლებინა თავი? აგვეარეს
 იარაღი, ზურგჩანთებიც წავვართვეს, ჩავგვსხეს მანქანაში
 და თბილისისაკენ წავვიყვანეს. გზაში ხან სად გავაჩე-
 რებდნენ, ხან სად. მხიარული კაცები კი გამოდგნენ ყარა-
 ულები. როცა დარწმუნდნენ, რომ ჩვენ ბანდიტები არ ვი-
 ყავით და გაქცევასაც არ ვაპირებდით, ხუმრობაც დაგვი-
 წყეს და პურიც გვაჭამეს. მერე ერთ ადგილას, როცა შუა-
 დღის გულზე ძალიან ჩამოცხა, მანქანა წყლის პირას გაა-
 ჩერეს და ბანაობას მიჰყვეს ხელი.

თუ არა და. აქედანვე სახლებში წავალთო. აი, მოვედი,
 ძია ლადო, და რას მეტყვი?
 — რა უნდა გითხრა, ბიჭო! ან რა მოგიხდათ ისეთი, რომ

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ურბნის უსახურად

აიონური ნაღობი

სუმგაითელი პიონერები გვესტუმრნენო, — ეს ამბავი მთელ რუსთავს მოედო ამ ორი ქალაქის გამოჩენილი მეფოლადეები ერთმანეთს ეჯიბრებიახ სამშობლოსათვის შეტი და ძალაღმართისხოვახი ფოლადის გამოდნობაში. მათ კარგად იციან ერთმანეთის გეგმები და სურვილები.

ამ ორი ქალაქის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროებისათვის ათეული და ასეული ტონობით ლითონსა და ჯართს აგროვებენ პიონერები. ისევე, როგორც მათი უფროსები, ამ ორი ქალაქის პიონერებიც მეგობრობენ, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გეგმებსა და სურვილებს.

სწორედ ამ გაზაფხულზე, როდესაც სუმგაითელი პიონერები რუსთავს ეწვივნენ, ორივე ქალაქის პიონერებმა რუსთავში განიხილეს პიონერული ორწლედის გეგმა და ერთი საინტერესო გადაწყვეტილება მიიღეს...

18 მაისს სუმგაითისა და რუსთავის მარტენის საამქროები აღისტერი დროშებით მოირთო. ორივე ქარხანაში ასეთი წარწერები ამშვენებდა კედლებს ქართულსა და აზერბაიჯანულ ენებზე: „დღეს აქ მიმდინარეობს პიონერული დნობა“.

ამ ნაღობისთვის ორივე ქალაქის პიონერები ერთი თვე აგროვებდნენ ლითონის ჯართს.

დანიშნულ დღეს, დანიშნულ დროს, დილის სრულ 8 საათზე ჯართი ჩაიტვირთა ამიერ-კავკასიის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ლუმელეებში. ნაკრები რაზმი თავის დროზე გამოცხადდა ლუმელთან. პიონერი დავით გაბადაძე მეთაურობდა მათ. თითოეულ მათგანს 10 ტონამდე ჯართი ჰქონდა მოგროვილი.

დიახ, პირველი პიონერული ნაღობის მოღება წილად ერგო 17 პიონერს. ეამაყებოდით დავით გაბადაძეს. ლილი მაისურაძეს, ზოია ლომიძეს, მიხეილ ხვინგიას, ტა-

რიელ მამარდაშვილს, ლიანა თევდორაშვილსა და სხვებს გამოცდილ მეფოლადეებთან ერთად დგომა.

ამ პიონერული ნაღობიდან 64 ტრაქტორის დამზადება შეიძლება.

რუსთაველმა პიონერებმა დანაპირების შესრულებაზე მაშინვე დეპეშა აფრინეს სუმგაითში. იმ დღესვე ნათელა გალანტაროვას ხელმოწერით საპასუხო დეპეშაც მოვიდა რუსთავში...

პიონერული დნობა ორივე ქალაქში ზუსტად დათქმულ დროზე დაიწყო და დამთავრდა.

მეგობრებმა ნაკისრი ვალდებულება შეასრულეს, პიონერული ფოლადი უძღვენეს სამშობლოს.

ნათელა ფალოძე.




ელიზა მურმანიშვილი, თამაზ ჯიქია და ბონდო გომართელი მარტენის საამქროში თვალს ადევნებდნენ მათ მიერ შეგროვებული ჯართის გადადნობას.



რუსთავი-სუმგაითი

შვიკი შვიკის პირობა



საქართველოს
საბჭოთაო რევოლუციის

მატარებელი „თბილისი-სოჭის“ ერთ-ერთი ვაგონი ყველაზე ნორჩ მგზავრებს — წითელყელსახვევიან გოგო-ბიჭებს დაკავებინათ მთლიანად. იქვე წინ, ბაქანზე, ბევრ მშობელს მოეყარა თავი. მატარებლის გასვლას რამდენიმე წუთიდა აკლდა და ისინი უკანასკნელად არიგებდნენ ვაგონის ფანჯრებთან მომდგარ პატარებს:

— აბა, შენ იცი, როინ, როგორ ტკვიანად იქნები.
— რუსიკო, ხშირად მომწერე წერილები.

— არ მოიწყინო უჩვენოდ, ყოჩაღად იყავი, თემურ.

ზოგიერთის დედა ვაგონის კარებში ჩამდგარ უფროს პიონერხელმძღვანელს, დურმიშხან ძაძულაშვილს ემუდარებოდა:

— ჩემი ომარი ღამე საბანს იხდის ძილში, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ, არ გამიცვივდეს.

— ჩემი ელზა კიდევე, მიზუხიანი მტამელია, იქნებ თქვენ დააძალოთ როგორმე.

— ჩემი ჯემალი ცურვითაა გატაცებული და მეშინია შორს არ შევიდეს ზღვაში.

უფროსი პიონერხელმძღვანელი იღიმებოდა. ეს-მოდა ამ მშობლების: ისინი თავიანთ პატარებს პირველად უშვებდნენ ასე შორს. მართალია, იცოდნენ, რომ იქ, პიონერთა ბანაკში, ცხოვრება მეტად ხალისიანია და უსაშიშრო, მაგრამ მაინც ფიქრიათა დედის ბული.

— დარდი ნურაფრის გექნებათ. ვერც კი იცნობთ, ისეთი გაკაუებულნი დაგიბრუნდებიან ბავშვები, — ამშვიდებდა დურმიშხანი ყველას.

მაღე, წითელყელსახვევიანები მხიარული ხელის ქნევით დაემშვიდობდნენ ბაქანზე დარჩენილთ. რამდენიმე წუთის

შემდეგ კი ფუნუკულორზე აღმართული სატელევიზიო კოშკის ლალისფერი ნათურებიც გაუჩინარდნენ საღამოს ბინდში.

მიჭროდა მატარებელი და როცა იგი გაჩახახახებულ სადგურებზე შეჩერდებოდა მცირე ხნით, უმაღ ვაგონის ფანჯრებს მიაწყებოდნენ ცნობისმოყვარე ბავშვები. ბევრი მათგანი პირველად იყო ამ გზაზე და მათ ყველაფერი აინტერესებდათ, ყველაფერს ხარბად ათვალიერებდნენ. განსაკუთრებით, გორის ნახვამ აუჩქროლათ გული. თვალაციმციმებული უყურებდნენ ბებერი, გოლიათი გორისციხის სილუეტს, ღამეულ ცის ფონზე რომ იყო ალანდული.


შემდეგ, საშურის მიდამოებს რომ გასცდნენ, ვაგონების რიტმულ დაგადუგს რაღაც, ოდნავ ყრუ ბუბუნი მიემატა და სარკმლებიდანაც ცივი ნიაფი შემოიჭრა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სადღაც ქვესკნელში ეშვებოდნენ.

— ჩვენ ახლა წიფის გვირაბში მივქრით, ბავშვებო, — განაცხადა პიონერხელმძღვანელმა.

— წიფის გვირაბი! წიფის გვირაბი! — კვლავ წამოიშალნენ ყველანი. ვაგონის ორივე მხარეს შავად მზინავი კედლები და მათზე მიმავრებული ელნათურები გაიღვებდნენ წამდაუწუმ. კარგა ხანს გაგრძელდა ასე, და ბოლოს, როცა კვლავ გაშლილი სივრცე გამოჩნდა, რატომღაც ყველამ შვებით ამოისუნთქა.

მატარებელი ახლა თვალწარმტაც იმერეთს მისერავდა. მაგრამ უკვე შუალამეს გადასულიყო და ვაგონიც ისე საამოდ ირწეოდა, ბავშვებმა თანდათან ტკბილ ძილს მისცეს თავი.

ყველაზე ადრე თბილისის 31-ე სკოლის მოსწავლეს — ალექსანდრე ბერუაშვილს გამოეღვიძა. მაშინვე ჩამოხტა საწოლიდან და გარეთ გაიხედა. აღმოსავლეთისაკენ მწვანით შემოსილი გორები და ჭალაკები მწვანედ ხასხასებდნენ მზის სხივებში. შემდეგ დასავლეთის ფანჯარას მიადგა და მოულოდ-



მზის სითბომ პლაჟე-ტკბილი ძილი მოგვარა როინს, რაც მეგობართა ხუმრობის საბაზი გასდა.

ნელობისაგან თვალები გაუფართოვდა. მის წინ ალაც ლურჯად, ალაც ფოლადისფრად მოლაპლაპე, უსასრულო სივრცე იყო გადაშლილი. თეთრქორორა ტალღები რკინიგზასთან სულ ახლოს ლოკავდნენ მოკენჭილ ნაპირს.

— ზღვა! ზღვა! — უნებურად აღმოსდა სიხარულის ძახილი ბიჭუნას. არა, მას ადრეც ჰქონდა ნანახი ზღვა, მაგრამ... ის „თბილისის ზღვა“ იყო, რომელიც ამ ზღვასთან შედარებით პატარა ტბად თუ გამოჩნდებოდა.

სულ მალე ათეულობით წყვილი თვალი აღფრთოვანებით მისჩერებოდა მტრედისფრად მოლივლივე, უსასრულო სივრცეს. მატარებელი კი კვლავ მიჰქროდა ჩრდილო-დასავლეთით. უკან დარჩა ოჩამჩირეს სანახები, ქალაქიბალი — სოხუმი, ახალი ათონი... და აპა, ესეც გუდაუთა!

პიონერები მხიარულად გადმოდიან სადგურზე, სხდებიან მანქანებზე და სიმღერით მიიჩქარიან იქითკენ, სადაც მათ სიხარულითა და სიცოცხლით სავსე დღეები ელოდებოდა.

* * *

პატარა, მაგრამ მეტად ლამაზია გუდაუთა. მწვანე სკვერებსა და ხეივანებში თეთრად მოქათქათე, სუფთა და წყნარი. მაგრამ იმ ადგილს, სადაც კავშირგამბულობის მუშათა, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პიონერული ბანაკია, გუდაუთის ვერც ერთი კუთხე ვერ შეედრება. ირგვლივ რომ სიცხის აღმური ასდიოდეს ყველაფერს, ბანაკის ტერიტორიაზე მუდამ გრილი ნიავეი ჰქრის. იქვეა მშვენიერი პლაჟიც.

თბილისელ პიონერებს თელავიდან, ჭიათურიდან, ახალციხიდან, ქუთაისი-

დან, სოხუმიდან და საქართველოს სხვა რაიონებიდან ჩამოსული თანატოლები შემოეხვივნენ. ზოგიერთი მათგანი თბილისელებზე ცოტათი ადრე მოსულიყო და ახალ მეგობრებს მასპინძლები ვითვალაპარებდა აქეთ-იქით.

ახალმოსულები ასაუზმეს და მერე ისინიც საერთო საბანაკო ცხოვრებაში ჩააბეს. მოეწყო პიონერული ხაზი, არჩეულ იქნა რაზმეულისა და რაზმების საბჭოები, ჩამოაყალიბეს სხვადასხვა წრეები...

უკვე მესამე კვირა იწურება, რაც მთელი სისავსით ჩქეფს გუდაუთაში საბანაკო ცხოვრება. მზით გარუჯული დილის შვიდ საათზე უკვე ფეხზე არიან. ჯერ ტანვარჯიშით გაიმხნევენ კუნთებს, მერე, პიონერული საყვირისა და მუსიკის ხმაზე, რაზმეული ხაზზე ეწყობა, პატაკების ჩაბარების შემდეგ ცხადდება დღის რეჟიმი, რაზმებზე ნაწილდება დავალებები.

ბანაკის ეზოში ბევრი ყვავილია. გონებს განსაკუთრებით მათი მოვლა უყვართ. რწყავენ, თავს დასტრიალებენ; ზოგი კიდევ აქეთ-იქით დაფუსფუსებს: ხომ არ არის დანაგვიანებული რომელიმე კუნჭული.

ნასაუზმევენი უკვე ზღვისკენ დაემშვეებიან ჟრიაშულით. თითქოს ზღვაც ელისო ამ წუთს, ალერსიანი დუდუნით ეგებება პატარებს. უნდა ნახოთ, როდენი სიამოვნება იხატება ნელ ტალღებში მოყურყუმალავეთა სახეებზე!

როცა პირველ დღეს სხვებთან ერთად ალექსანდრე ბერუაშვილიც მიიყვანეს ზღვასთან, საბანაკოდ, მან ჯერ გაუბედავად ჩაპყო ფეხი წყალში, შემდეგ კი უკან გადახტა. უნებურად გვერდით მიიხედა. იქვე მდგარ თბილისელ სანდრო ბუნიატოვსაც შიში უკრთოდა თვალეებში. მაგრამ მათთან გაჩნდა ფიზკულტურის მასწავლებელი ბორის ხუ-



პიონერები ხაუზმის მორჩნენ და ახლა ზღვა ეძახის მათ თავისკენ.



დღეს მესამერაზმელები არიან მორიგეები, ცდილობენ გოგონები გემრიელი სადილი მოუმზადონ თანატოლებს.



ამდენ ახალ შეიპოვებ შედგენა.
თუ სხვადასხვა ერთობა ამ ოთხმა პი-
რამიდამ ექვსივე ერთობის საყ-
დას შეიპოვებ.

კითხვით. — ნუ გეშინიათ, ბავშვებო! —
უთარო მან შექრიალი ბავშვებს
სიცილი უფრავს კარგადალი, რაწმინდო
დღეში იმამავე — აკობებო — მან
შეიპოვებ ახლი, უთაროდ მიყურებ
ვახლი მისურაქებს და ჩონჩხ ხევისთა
შვილზე მითითა. შემდეგ ვერ ერთი,
მერე მეორე წყალში შეივარა, აუხსნა
სურვის წყებო, აფარებო, შეუმალა-
ობდენ ბავშვები, ერთი-ორჯერ ზღვის
წყლის სიმაღლე იცემს, მერამ მიშ-
მა თითქმის გუარათ, და ახლა, სამი
კვირის თავზე, ისე შეიქმნენ ზუგას,
აღარ უნდათ სწრაფი ანობელა, ჩი-
რნულდაყ ცურავთ.

სივრცის ზღვაზე საყმაოდ შორს შევიდ-
ნენ იქ ზღვის უფრო სხვა ფერი გავა-
რებადა, ვიდრე ნაპირთან. ტყალაზეთა
გზებზეობდენ ტალღები წყის კოდედა,
კამკამა წყლის ხილრბეში თევზებსაც

ლუ ჩოიფენი ხაზი-მეხსია
მეზურავ წიხს ტექსტო
ბალახში მუშაობისა
აქრადე ხანამ ამატარებს
სახეებს.



მონაგებო მანაკის ცხომ ვა-
შენაქრებაზე ზურავენ.
აი, ახლა იხანა ბუგის
ფუნამ ბოლოებზე მო-
საქრად.



ში მოაწეს ექვსკრანა. გაეცნენ პურის
ცხობის პროცესს, ყურადღებით დაა-
თვალიერეს ქარხნის სამკურნალო, ესაუბ-
რნენ მუშებს. გზაში, მოსკოვთან კო-
ლია რიგებმა ანაწველიერებიად და-
დი, ფორმადწინწკალი პეპელა და-
ქობა, ხაზღვარი არ ქონდა კოლის
სიხარულს. იგი თავის მშა კრახითან
ყოფდა გატაცებით აფრთვებს წყებებს.

მანაკში დაბრუნებულს ახალი ამ-
ბავი დასწავლა სარდაქური კოლეჯის
კვლევის საზღვები — წითელი ყვ-
სახვევი და — ნაშ პიონერ გამოცემა
უკვე გვირ ჯიშკარიახის მიერ ომა-
ზად გაფორმებული. ხალხით კიხუ-
ლობდნენ პიონერები წყრლობეს: „პი-
ონერი დღე მანაკში... ჩემი საყარელი
სამშობო...“ შეიპოვებ...“

მანაკში მუშაობა ჭადრაკის მოყვარ-
ული ერთხანს ვერ გამოირჩევს ვინ იყო
მან შორის სპორტის ამ სახეობის ყვე-
ლაზე უძლიერესი. ადგნენ მართი და

ტურნირი მოაწეს. საბოლოოდ ჩემპი-
ონის სახელი ნოდარ ლევანიშვილს მი-
ბოვა მეორე ადგილზე სერგეი ზაიანი
გამოვიდა, მესამეზე — გარი ალექს-
ველი ტენი თბილისელი მოსკოველები
აჩიან.

დიდი იყო პიონერების სიხარული,
როცა ერთ დღეს შეიტყვეს, რეინოზის
სადღურზე — მეგობრობის მატარებელი-
ჩამოფარა. მთელი რაზმეული როდდ
დაწყებოლი გაგზავნა სტუმრების შე-
საველად სადგურზე მიუღეს შუა-
ხელი, ცხობილი, ბელორუსი, უკრა-
ინული თანატოლები გამოვიდნენ. მი-
ონელი მე-3 სკოლა-პიონერების მის-
ილის მე-3 სკოლა-პიონერების მის-
ილისადაც, დღმამ ცინხა და ნაწილი
წადგინებმა სტუმრებს ყვადღებების
ათარელები მიართვეს. უთითოთ გაე-
ჩაჩის და საუბრის შემდეგ ერთად იმ-



ურეს, იცვეეს და სიყვარული დაე-
ძვლობდნენ ერთმანეთს.

სამაობითი, ვანშის შემდეგ, ზღვაზე
მუშებზე ხიდი რომ ჩამოწყდა და ნელ
დაღუბნით იფხვ დაირწყდა ტანწე-
რება კიანების, ყვადღებები, მე-
გობებო, — დღმარებით იყო მუშა-
ბულ მანაკის მიხატების მუხისის მშა
და ხორჩა პიონერების სიძლიერე ვი-
ნება. ცინხა აღთქანაშვილი, ლიან
მეღღმეოშვილი და ელნა ქოხრელი ი-
წყნენ ყვადღობის სიძლიერას, რომელსაც
მთელი რაზმეული აიტაცებს ხილდე
ხილი როცა ტაში ეახურდება, თვალს
ამანგებს თურქ ლევანიშვილის, ჟამლ
მისაქრამის, ფარადე დაწვლიან და
სხვათა მიერ შედგენილი სტეფი.

მერე კი ამ არამარტო ცხობილ სა-
ჩემე დასველებს. მეორე დღის მილო-
დანიში მშვიდ ძილს ჰქვდა ზღვისპირა
მანაკი.

ს. შავერიანი

ზაგთო ვაშლობო ასე...

ქართული

დღეს ასე ვაგერეულილი სიტუა-
ციონი მერხნული წარმოშობისა და მის სწავლას
სიტუაია აქვს. სიტუა-სიტუაციი იგი საშვარის,

მსოფლიოს ნიშნავს, ძველი ზებრების წარმოდგენი, კომისი წარ-
მოშვე ქარისსავან (წესწრობისსავან) შემდეგინად: თავდაპირველად
იყო მხოლოდ უსაფრთხო, მარადილი კამოი, სტრუქტურა უსურნალო ბრძო-
ლა. მავარამ გიოს შეივარა და სიცილის ჩანასახი. ამიტომ შემდეგში-
მან წარმოშვა მთელი საშვარო და უკვდავი ცხოველები. ქარისსავან პირ-
ველად წარმოშვა ყოველივე, რაც მასზე ცოცხლობს და ირგებდა. მის
გამოცემა და, ურანოსი, შემდეგ ექვსწინელი, მიწისქვეშა ჯიუთობი—ტარ-
კობილი და ზღვა პონტოსი. ქარისსავან წარმოშვა აგრეთვე ყველაფრის
გამოცოცხლებელი ძალა სიყვარული—გრისი, მარადიული წყვილი—ტრე-
პისი და ზნელი და—ნიუტონი. მათ თავის მხრივ წარმოშვეს მარადიული
სინალოდ ცოცრი, დღე—ღამისი, მიყვინა ყოველივეს სინალოდ და ამ
დროიდან ერთმანეთის სცვლიან დღე და ღამე.


შემდეგში, ურანოსის ერთმა შვილმა, ტიტანმა ქრონოსმა, ხელი იგ-
და საშვაროს გაშვებობა, მავარამ მერე თვით ქრონოსს გამოვებობა
წარავა მისმა უწყრომა შვილმა ზევსმა. ზევსს თავის მხრივ პირობა
მოუხდა ზოგიერთ ტიტანთან, სძლია მათ და საშვაროს გაშვებობა ასე
გაანაწილა: საშვაროს მკურნობელი, ცქროლდ, ცის და მიწის მგლობელი
თვითინ დარჩა, მას—პოსეიდონს ზღვის მგლობლობა ჩააბარა, მეორე
მას პავსის ტრატაროსის მგლობლობა.

ასეთი იყო ძველ ზერქნისა და რომაული კოსმოგონია—მოდლებმა
საშვაროს წარმოშობის შესახებ და მათი თეოგონია—თქმულებმა ღმერთე-
თის წარმოშობის შესახებ.

ვანეთობების დაბალ საფეხურზე მყოფი ძველი ხალხებისათვის გვე-
ნის ვანში, ვარშემო მუნების მოცულობის, სიზმარი, ძილი, სიყვადელი და-
უზებარი და საიდუმლოებით მოცული მღვდლები იყო. მათ არ იცოდნენ
მუნების კანონები, ამიტომ ყოველ მათგანში ზღვადენი რაღაც ზებუნებრივ
არსებობა, ღმერთების ნება-სურვილის გამოვლენას. მივლი საშვარო
ძველი ვაგებობი. ღმერთებით იყო სახე, თითოეული მგობის თავისი ღმერ-
თი მუცელა. ამიტომამ ამ მითოლოგიში უამრავ ღმერთზე დაბარება.

ვაშობისის აზრი ასეთია: ადამიანს, რომელსაც დი-
დი, საქორი, ძელი ნაქვე გააკეთა, არ უსაყვად-
რებენ და არ სჯიან წესის ან კანონის დასაყვად-
თვის.

ამ ვაშობისას ეკატერინე II მიიხარებო. ჰევენიან, რომ ეს სიტუაციი
მის თითქმის ღვლდამარტულ სუროგოვის გასამარტოლების დროს უთქვამს.
როგორც ცნობილია, სუროგოვი არ დაემორჩილა მოავასარადელ რუმან-
ცვეს და თავისი ინციტატივით შტრინგით აიღო თურქების ციხე-სიმაგრე
თურქული. აქვე უნდა დაგვიხსენოთ, რომ დოკუმენტებში არ არის შენაჩ-
ხული მსგავსი ისტორია, ასე რომ საესებით შესაძლებელია ამ ვაშობისას
სულ სხვა წყარო იქონიეს.



უკრაინის ბავშვები
 — უკრაინის ბავშვები
 — უკრაინის ბავშვები

სახე-მკობი, მანკობი

სახე-მკობი იქნება უფრო და უკეთესი
 მკობი მკობი მკობი მკობი
 — უკრაინის ბავშვები

სახე-მკობი იქნება უფრო და უკეთესი
 მკობი მკობი მკობი მკობი
 — უკრაინის ბავშვები

8454


სახე-მკობი იქნება უფრო და უკეთესი
 მკობი მკობი მკობი მკობი
 — უკრაინის ბავშვები




სახე-მკობი იქნება უფრო და უკეთესი
 მკობი მკობი მკობი მკობი
 — უკრაინის ბავშვები

სახე-მკობი იქნება უფრო და უკეთესი
 მკობი მკობი მკობი მკობი
 — უკრაინის ბავშვები

სახე-მკობი იქნება უფრო და უკეთესი
 მკობი მკობი მკობი მკობი
 — უკრაინის ბავშვები





ბის ტალღამ სოფელს მომაშორა, აგერ, თხუთმეტი წელიწადი ადარდებდა ბულვარს. ახლა შევბუღებ, ადგილი მდგარადგან ცოლ-შვილი სოფელში ისვენებდა, მეც სოფელს მივამურე. შევუდექი ღომეეთის აღმართს, გავისხენე ძველი და გამახსენდა ჩემი დარგული ხე. გადავუხვიე გზიდან, მივადექი ნაშენს. ხეები გაზრდილან, ტყედ ქცეულა ნაშენი. აი, მეგობრის მიერ დარგული ხე. ჩემი მეგობარი უკვე სახელოვანი კაცია, მეტალურგიულ ქარხანაში ცვლის მთავარი ინჟინერია. აი, ჩემს მიერ დარგული ხეც. მივედი, ძმაკაცივით ტანზე ხელი შემოვკარი, ავათვალიერ-ჩავათვალიერე, ძალიან მომეწონა. სწორად აშოლტილიყო და ფოთლებით შემოსილი ქუდი ცისათვის შეეშვირა. მის ძირში ჩამოვკეპი, დიდხანს ვუცქირე.

ჩემი ქარგული ხე

მასხოს, მეექვსე კლასში ვიყავი, მასწავლებელმა გამოგვიცხადა: კვირას ტყის დღეა, სკოლის ეზოში ხეები უნდა დავრგათ და, ვისაც რის ნერგი შეგიძლიათ, ის მოიტანეთ.

ბევრი ვიფიქრეთ მე და ჩემმა მეგობარმა და გადავწყვიტეთ, ღომეეთში, სოფლიდან ჩამოვლისას, ნაშენში ახლად დარგული ხეები მოგვეთხარა და მოგვეტანა.

კვირას ჯერ კარგად არც გათენებულყო, რომ სოფლიდან ღომეეთში ჩამოვიარეთ, შევიპარეთ ნაშენში, მოვთხარეთ თითო-თითო ახლად დარგული მუხის ნერგი და ის იყო წამოსვლას ვაპირებდით, რომ მეველის ყვირილი შემოგვესმა.

ჩვენ ჯერ შიშისგან გავილურსეთ, შემდეგ კი, როცა სულ ახლოს აჩქარებული ფეხის ხმა გავიგონეთ, — მოვქუსლეთ. მეველემ ცოტა ხანს გვდია, დაილა და თავი დაგვანება.

სკოლაში რომ მივედი, დირექტორმა შეგვაქო: „ამ მუხის ხეებს შემოსასვლელში დავრგავთ“.

მალე ორმოები ამოვთხარეთ და ის იყო

ხეები უნდა ჩავგერგა, რომ დირექტორმა კაბინეტში დაგვიბარა.

ჩვენ გაგვიკვირდა. კაბინეტს რომ მივუახლოვდით ხმამალაღი ლაპარაკი შემოგვესმა. ყური მივუგდეთ, მაგრამ ვერაფერს მივხვდით.

კაბინეტში დირექტორი, ჩვენი კლასის დამრიგებელი და მეველე დაგვხვდნენ.

— ოო, ესენი იყვნენ, ესენი! — იყვირა მეველემ, — გეგონათ, ვერ მოგანებდით?!

დირექტორმა შუბლი შეიკრა, და დაიწყო... როცა დამთავრა, ჩვენ მხოლოდ ის გავიგეთ, რომ ნერგები კვლავ ღომეეთში უნდა აგვეტანა, იმავე ადგილას დავგვერგო და ერთი თვის განმავლობაში წყალი გვესხა, ხოლო სკოლისათვის ორთხი ახალი ნერგი უნდა მოგვეტანა.

ღომეეთს მთას ეძახიან. იგი სამიოთხი კილომეტრითაა დაშორებული სკოლას. რა უნდა გვექნა! გავიდეთ ზურგზე ნერგები, ავიტანეთ და კვლავ თავის ადგილზე დავრგეთ. დირექტორის ბრძანების თანახმად, გზად სკოლისაკენ მიმავალნი ხშირად გადავუხვევდით ხოლმე და ხეებს წყალს ვასხამდით.

გავიდა წლები. ნერგები ხეებად იქცნენ. მე სკოლა დავამთავრე და ცხოვრე-

პარლო ვაბაშაძე
ნახ. ზ. კაპანაძისა



მარსზე სუპერსეკუ?


ერთი წუთით დავუშვათ და წარმოვიდგინოთ თავი მარსზე მცხოვრებლებად, რომლებიც თავს იმტვრევენ კითხვაზე: არის თუ არა სიცოცხლე დედამიწაზე? — ნუ გიკვირთ, ეს პრობლემა მათთვის მართლაც არ იქნება იოლი ამოსახსნელი.

დედამიწის ბინადართა უშუალო დანახვა მათ არ ძალუძთ, ამისათვის ჩვენ ძალზე პატარები ვართ. დარწმუნება, რომ დედამიწაზე ნამდვილად ცხოვრობენ მოაზროვნე არსებები, მარსიელებს ირიბი გზით, მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნური ფაქტებისა და მოვლენების საშუალებით შეუძლიათ. მაგრამ ასეთი ფაქტები ჯერ ძალზე ცოტაა: უდანაოების ნარინჯისფერ ზედაპირზე მცენარეთა მწვანე ლაქების გაჩენა, გამწვანების ახალი ზოლი ან მანამდე უცნობი მწვანე ლაქა — რომელიმე ხელოვნური წყალსაცავი. აი, ყველაფერი ის, რის დანახვაც შეუძლიათ მარსიელებს დედამიწაზე. ამის გარდა, ისინი ალბათ შესძლებდნენ დანახვას დედამიწის ზედაპირის ფერისცვალება ზამთარ-ზაფხულის შეცვლასთან დაკავშირებით. ასე რომ, კოსმოსიდან დამკვირვებლისათვის ჩვენს პლანეტას ძალზე ბუნებრივი სახე ექნებოდა. არც ჩვენი ქალაქები, არც რკინიგზებისა და გაზტუბოების ხშირი ქსელი ან ცივილიზაციის სხვა მრავალი ნიშანი მათთვის, როგორც ჩანს, შეუმჩნეველი იქნებოდა. კაცობრიობის სიამაყე, ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური რაკეტები ისე უმნიშვნელონი არიან თავის მოცულობით, რომ მხოლოდ რაღაც ფანტასტიკურად მგრძობიარე ტელესკოპებს თუ შეუძლიათ მათი დანახვა.

ამას თუ დავუმატებთ, რომ დედამიწა სქელი, ღრუბლიანი ატმოსფეროთი არის დაფარული და ვენერას მსგავსად ხშირად იფარება მზის სხივებში, მაშინ ცხადი გახდება, რომ დედამიწის დასახლებულობის პრობლემა დაუსრულებელი და განუწყვეტელი დისკუსიის საქმედ უნდა იყოს ქვეყელი.

გონიერების გაცილებით ბევრ ნიშანს ვხედავთ ჩვენ მარსზე. პირველ ყოვლისა, ეს მარსის სახელგანთქმული არხებია. ამ საოცარ წარმონაქმნთა რეალობა დღეს არავის ეჭვს არ იწვევს. ისინი ათიათასობით ფოტოსურათზე აღბეჭდილი. საშუალო სიძლიერის ტელესკოპებში არხები ერთ მთლიან მასივად მოჩანს. კარგ ატმოსფერულ პირობებში, დიდი ტელესკოპებით კი, არხები ცალკეულ ლაქებად იშლება. საოცარი ის არის, რომ არხები თანაბარ ზოლებად ფარავს მარსის მთელ ტერიტორიას, არც ერთი წერტილი არ არის დაცილებული არხებს 300 კილომეტრზე მეტად, არც ერთი არხი არ წყდება შუა გზაზე და ყველა მათგანი, როგორც წესი, რომელიმე არხს ან „ზღვას“ უერთდება. არხების სიგანე სხვადასხვაა, ზოგი 200-300 კილომეტრის სიგანისაა, ზოგი — მხოლოდ რამდენიმე კილომეტრისა.

ჯერ კიდევ იტალიელი ასტრონომი სკიფარელი, რომელმაც 1877 წელს მარსის არხები დაინახა, გადაწყვეტილი ამბობდა, რომ ეს სარწყავი სისტემააო. შემდგომში




ახე მოჩანს მარსი დედამიწიდან სხვადასხვა სიძლიერის ტელესკოპებით.

ეს იდეა გაიზიარა და გააგრძელა ამერიკელმა ასტრონომმა ნოველმა. დღესდღეობით არ არსებობს რაიმე მოსაზრება, რომელიც სხვაგვარად ხსნიდეს ამ ჰიპოთეზას.

რასაკვირველია, სიტყვა „არხები“ აქ პირობითად იხმარება. ჩვენ ვხედავთ არა ხელოვნურ, ღია არხებს როგორც ეს დედამიწაზეა, არამედ მცენარეების ფართო ზოლს, რომელსაც უხილავი წყლის არხები ჰკვებავს. წყლის არტერიები შესაძლოა იყოს რაღაც წყალსადენი მილები, რომელთაც წყალი მარსის პოლარულ ნაწილიდან ქვეყნის ყველა ნაწილში გადააქვთ, იქ, სადაც ნალექები მცირეა.

გაზაფხულზე, ერთ-ერთი პოლარული ქუდის დნობასთან დაკავშირებით, სიმწვანის ტალღა ვრცელდება მთელ იმ ნახევარსფეროზე, სადაც გაზაფხული მკვიდრდება. პოლუსიდან წამოსული წყალი, აცოცხლებს მცენარეულობას ხელოვნური არტერიის გასწვრივ და ეს ადგილები ამიტომ მოჩანს შავად. დედამიწაზე გაზაფხული სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ვრცელდება. ასეთია მოვლენათა ბუნებრივი სვლა. მარსზე კი პირიქითაა. გაზაფხული პოლუსებიდან ეკვატორისაკენ მიიწევს, რაც აშკარად ხელოვნურ ხასიათს ატარებს. არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე ბუნებრივი მიზეზი, რომელიც აიძულებდა წყალს პოლუსებიდან ეკვატორისაკენ წასულიყო. ასე რომ, უნდა ვიფიქროთ: წყალსაქაჩავების სისტემა მოქმედებს ხელოვნური საშუალებებით. მარსის ყველაზე უდაბურ, ეკვატორულ ადგილებში, ზაფხულობით საოცარი ამბავი ხდება: არხები ორკედლება. ერთის ნაცვლად ორი, რკინიგზის ლიანდაგის მსგავსი პარალელური ხაზი ჩნდება. არხების გადაკვეთის ადგილებში შეიმჩნევა ეგრეთწოდებული ოახისები, მცენარეთა ზოლის ოვალური ან მრგვალი ლაქები. როგორც ჩანს, ეს წარმონაქმნები რაღაც მნიშვნელობის არიან. შესაძლოა, სწორედ აქ არის თავმოყრილი მკვიდროდ დასახლებული



ასეთი „არხები“ არის დაქვედრილი მარსის ზედაპირი.

პუნქტები. საინტერესოა, რომ, როდესაც ზამთარი დგება და ოაზისები ქრებიან, მათ ცენტრში რჩება რაღაც მოშავო გული. შესაძლოა, სწორედ ეს არის მარსიელთა ქალაქები.

სხვა, სიმართლესთან ცოტად თუ მეტად ახლოს მდგომი ჰიპოთეზა, რომელიც ხსნიდეს ამ არხების წარმოშობას, ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

არხების სისტემა მარსზე „გონიერების“ უმჯობესი კვალი უნდა იყოს.


არხებზე არა ნაკლებ საოცარია მარსის თანამგზავრები. ორივე თანამგზავრი, ფებოსი და დეიმოსი, მარსის გარშემო ეკვატორის გასწვრივ ბრუნავს. ერთი მათგანი განივკვეთში 16 კილომეტრი უნდა იყოს, მეორე — 8. ცის ამ სხეულთა წარმოქმნა დღემდე კოსმოგონიის უდიდეს გამოცანას წარმოადგენს. მართლაცაა, როგორ გაჩნდნენ ფებოსი და დეიმოსი?

ერთი რამ ცხადია, ისინი არ შეიძლებოდა მოსწყვეტოდნენ პლანეტას. ამ შემთხვევაში მათი მასა გაცილებით მეტი უნდა იყოს. ამას გარდა, ფებოსი ვერ იბრუნებდა მარსის გარშემო უფრო სწრაფად, ვიდრე თვით მარსი თავის ღერძის გარშემო. დღესდღეობით არ შეიძლება დავასახელოთ რაიმე ბუნებრივი პროცესი, რომელიც შექმნიდა მარსის ხელოვნურ თანამგზავრებს. და პირიქით, ყველაფერი შეიძლება შედარებით ადვილად აიხსნას, თუ დავუშვებთ, რომ ფებოსი და დეიმოსი მარსიელთა მიერ შექმნილი ხელოვნური თანამგზავრებია. ასეთი იდეა პირველად 1951 წელს გამოთქვა ასტრონომმა გერდმა, ხოლო 1958 წელს მისი იდეა განავითარა პროფესორმა შკლოვსკიმ.

ჯერ კიდევ კვლევრმა სთქვა, რომ მარსის გარშემო ორი თანამგზავრი უნდა მოძრაობდესო. მაგრამ მათ

ამაოდ ეძებდნენ 2 საუკუნის განმავლობაში. გერმელმა და ლასელმა, წარსულის გამოჩენილმა დამკვირვებლებმა, თავიანთი უდიდესი ტელესკოპებით აღმოაჩინეს მარსის ბევრად ძნელად შესამჩნევი თანამგზავრები, მარსისა კი ვერც ერთმა მათგანმა ვერ დაინახა. 1862 წლიდან უკვე ყველა დარწმუნდა, რომ მარსს თანამგზავრი არ ჰყავს. მაგრამ აი, 1877 წელს მარსის თანამგზავრები უცებ დაინახეს, და დაინახეს არა ერთ, არამედ ბევრ ობსერვატორიდან. ასე რომ, უნდა ვიფიქროთ, მარსის ხელოვნური თანამგზავრები 1862—77 წლებშია შექმნილი. ამ თანამგზავრების ახალგაზრდობის სხვა საბუთებიც არსებობს. როგორც დედამიწის, ისე მარსის თანამგზავრები განიცდიან უამრავი მიკრომეტეორის განუწყვეტელ ბომბარდირებას. ძნელი არ არის მიხვდეთ, თანამგზავრები რომ ძველი შექმნილი იყოს, მეტეორები მათ მთლად დაშლიდნენ.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ მარსის ზედაპირის პერიოდული ფერისცვალება არ შეიძლება ბუნებრივი იყოს. ეს ცვლილებები თითქმის ყოველწლიურად ხდება. 1952 წელს მარსზე მოულოდნელად აღმოაჩინეს ახალი მწვანე ლაქა. რომელიც თითქმის უკრაინის ტოლია. ეს საოცარი წარმონაქმნი ყოველწლიურად შავდება, ფორმები კი ძირითადად იგივე აქვს. ვინ გაამწვანა ეს უზარმაზარი უდაბნო? რატომ არის, რომ მცენარეულობა წლითწლივით არა თუ ჭკნება, არამედ უფრო ნაზირი ხდება? ყველა ამ ფაქტში არ შეიძლება არ დავინახოთ მარსიელთა ინტენსიური მოღვაწეობა. დრო და დრო მარსზე ჩანს რაღაც საოცარი ბრჭყვიალა წერტილები, შემდეგ კი დამკვირვებლები ამჩნევენ პატარა ღრუბლებს, ისეთებს, როგორც აფეთქების შემდეგ ჩნდება ხოლმე. ასეთი აფეთქებები გამოჩნდა 1937-51-54 წლებში. ძნელია ამ მოვლენების ზუსტი ახსნა; მაგრამ ეჭვსგარეშეა, რომ ჩვენი მეზობელი პლანეტა ცხოვრობს ჩვენთვის ჯერ ამოუხსნელი ცხოვრებით. ყოველივე ზემოთ თქმული, რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით ჰიპოთეზაა. ეს ჰიპოთეზები კარგად ხსნიან ბევრ ფაქტს, მაგრამ არ გვაძლევენ სრულ გარანტიას მარსიელთა არსებობაზე. ბევრს უნდა ველოდოთ ხელოვნური თანამგზავრებისაგან, რომლებიც მარსის მიდამოებში იქნებიან გაშვებული. დღევანდელი ტექნიკის მიღწევები საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მთვარის მსგავსად, მარსის ფოტოსურათებსაც მივიღებთ და მამის ბეერ საილუმოს აეხდება ფარდა.



ასე იცვლება მარსის ზედაპირი წელიწადის დროების მიხედვით.



გაღმა ხსენაძე

ზ ლ კ პ რ ი

ნახატები ავტორისა

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა.

ერთ პაპანაქება დღეს დათვის ბელი მყვლის ჭამას შეჰყვა და კარგად ღრმად შევიდა ტყეში. უცბად, ღორების ღრუტუნი და გოჭების მხიარული ჭყვიტინი შემოესმა. მიუახლოვდა და რას ხედავს! — ღორების მთელი ოჯახი ტალახში გორაობს. დედა ღორი სიამოვნებისაგან ღრუტუნებს, ლაფში ამოსვრილი გოჭები კი ანცობით იკლებენ იჭაურობას.

დათუნის გამოჩენამ ყველა გააკვირვა, და თვალები დაჭყიტეს. არანაკლებ გაკვირვებული იყო დათუნია ბაჭბაჯაც, გულში ამბობდა: „ამას რას ვხედავ! ვის უნახავს ლაფში იწვევს ვინმე და ასე სიამოვნებდესო“. შემდეგ გადაწყვიტა, მოდი, ერთი ვიკითხავ, რაშია საქმეო.

— ეი, თქვენ, ღრუტუნებო, ერთი ეს მითხარით, რატომ წევხართ ტალახში, ვინმემ ხომ არ დაგსაჯათ?

ამ შეკითხვაზე ღრუტუნების ოჯახმა დიდი სიცილ-ხარხარი ატეხა. გოჭებმა აიკლეს იჭაურობა, ყველა ერთად აჭყვიტინდა:

— დათუნია, დათო, შენც ჩამოდი, ჩამოდი ჩვენთან ლაფში!

უფროსები კი დინჯი ღრუტუნით ურჩევდნენ:

დათუნია ბაჭბაჯა, ეს ჩვენთვის სასიკეთო კი არა, სიამოვნებაა! ჭკუა რომ გქონდეს, შენც ჩამოხვიდოდი ლაფში და ჩვენს შვილებთან ერთად არ მო-

იკლებდი ასეთ სიამოვნებას, თანაც ხედავ, როგორ ცხელა ცოტას გაგრილდებოდი კიდევო.

სულელმა დათუნიამაც გაიფიქრა: მოდი, ვსინჯავო, და გაბაჭბაჯდა ტალახისაკენ. ჭერ მუხლებამდე შევიდა ლაფში. წინ გოჭები შემოეგებნენ და თხოვდნენ:

— დათუნია, უფრო ღრმად! უფრო ღრმად! მთელმა ტანმა უნდა იგრძნოს ტალახი, თუ გინდა ისიამოვნო!

დათუნიაც მიიწვიდა წინ. უკვე წელამდე წვდებოდა ლაფში, მაგრამ ვერაფერით სიამოვნებას ვერა გრძნობდა, და შეჩერდა. შეშინდნენ გოჭები, იფიქრეს გაგვეტყვევო და ირგვლივ შემოეხვივნენ, თან სთხოვეს: — დათო, ჩაწევი, ჩაწევი და მაშინ ნახავ, რასაც ისიამოვნებო.

დათუნია იფიქრა, რაც იქნება იქნებაო, და ჩაეშვა ყელამდე ლაფში. ახლა კი ველარ იკავებს თავი ღორებმა და მთელ ტყეში გაისმა მათი მხიარული ხარხარი.

მიხვდა დათუნია-ბაჭბაჯა, რა საშინლად მოატყუეს, და წამოხტა ლაფიდან, ცრემლებს ველარ იკავებდა სიბრაზისაგან. კბილებს ადკიალებდა. დატრიალდა დათუნია, გამოუდგა გოჭებს, მაგრამ რომელ ერთს დაიჭერდა. ღორების სიცილ-ხარხარმა უფრო

იმატა. მართლაც ძალზე სასაცილო იყო ტალახში მეომარი დათუნია. თვალზე და ცხვირპირზე ლაფი ჩამოსლიოდა, რაც მეტს დაბაჭბაჯებდა ტალახში, მით უფრო ამხიარულებდა ღორების ოჯახს. ამდენი ბრძოლისაგან ქანცი გამოეღია დათუნისა. თან გრძნობდა, რომ ძალზე მოტყუებული იყო. დაანება თავი იჭაურობას. ლაფში ამოსვრილი წავიდა შინისაკენ. დანარჩენს თქვენც მიხვდებით, ბავშვებო, თუ რა დღეს დააყენებდნენ სახლში.

ეს ამბავი მელთა-ცლანგამ რომ გაიგო, ძალიან ბევრი იცინა, იმდენი იცინა, რომ მთელი ტანით თახთახებდა, კული ერთიანად უთანთალებდა. სიცილით რომ იჭერა გული, ეშმაკურად თქვა:

— ჭერ მთელ ქვეყანაზე არავის ახსოვს, რომ ღორს მოეტყუებინოს ვინმე, დათუნია რა კაცია, — ღორებს მოუღლორებიათო!

ამის შემდეგ ეს სიტყვა მთელს ტყეში გავრცელდა. დიდი და პატარა, ფრინველი თუ ცხოველი, ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა: ხომ არავის მოუღლორებინარო, ხომ არავინ მოვადლორაო? ხოლო ტყიდან ეს სიტყვა აღამიანებში ერთმა მონადირემ გავრცელა.

წუკი იხვის პატარაებს!



როსტომ ჭაბუკი

პალკინი სალიანი

ნორს ვეჯილებს ცელცი სიო არიობს,
 შებ თინული შუთი შუთივანსა,
 — სად მიდისარ, რისტომ, მარტდღმარტო?
 — ქალკისენ უნდა გავებე ვგასა.
 ორულილასა...
 დეს თინული ცის და მიწის ბურჯა.
 შუე აქსურეს, ზული შილის ქვასი.
 შუთიკაშუთი ჩემი მალი ღურჯა,
 გრიაგლითი ხაჭურქობე მთასა.
 ორულილასა...
 სიხისასგან დღეამიწე იწიხს.
 გრანაგ ვორის და წინანდლის მალესი,
 დღას სრული მალასის და წიწვის,
 ჩანთა რაა, ავიცილებ მთასი.
 ორულილასა...
 გრანაგ ვორის და წინანდლის მალესი,
 თოფს და თქვს დაეუტებე სხვასა.
 ბილი უჯვარი ჩემი სოფლის მალესი,
 შევიწმული მწინოსი და სტელასა.
 ორულილასა...
 მალე ქალკი ვესტუმრები სვანი,
 წიგნს უუილი ჩემს მატარა დასა.
 გვა ღირ და მომეცებინ სხვანიც,
 მზის ჩიტივით დალად ვაგული ფრთასა.
 ორულილასა...

ქიმიკა უყურადღებო

არსებობს მეცნიერება, რომელიც უკველ ემს, უკველ წამსა და წუთში თქვენთანა და თქვენ კი ჯერ კიდევ მაინც არ იცნობთ მის, ამ კარგად მაინც არ იცნობთ. ამ მეცნიერების უწოდება ქიმიკა.

დავიწყოთ თქვენი უკველდღური ცხოვრების ამბებიდან.

თქვენ, თქვენდაუნებურად, ქიმიკოსი რომელი ვამოდინათ იმ წუთებიდანვე, როცა გვიფიქვითა, ლოცნიდან დგებთ და ოთახს აწიავთ. რატომ გინაძვინებთ დაწინადან შემოპრობი სუფთა მკერამო? საქმე იმაშია, რომ აღმნიშნის ორგანიზმი ვამოდებთ მიმდინარეობს "ქეა", რომლის შედეგად ხასარტებლი ნივთიერება — ეანგბადი — იხარტება. მის ნაცვლად კი წარმოქმნიება აღმნიშნის ორგანიზმისთვის სახიში ნივთიერება — ნახშირორგანო. როდესაც დაზულ ოთახში გინათი, ექვედრება ნახშირორგანო, რომელიც აღმნიშნულ ცულად მოქმედებს, ამიტომ აღგომისთანვე აუცილებელი ხდება ოთახის განიავება ნახშირორგანოსგან და მის ნაცვლად ეანგბადით გაჟღერება. ამ უქანსტელის გარეშე აღმნიშნ არ შეუძლია გაძლოს — წუთი შეტე. მიუხედავად იმისა, რომ ქიმიკა ნაცვლად იცნობს, თქვენს ქანშირულიშაფის სახიში ქიმიურ ნაერთს ათიდან იცნობთ, ბილი ხასარტებლი ნივთიერების დებულობით და ამით იხანგრძლეუბთ ორგანიზმის სიცილებლუნარიანობას.

ოთახის განიავების შედეგე პირახანთან მიდებარა და წულს მოუშვებთ ზელ-პირის ნახანთან. მაგრამ, იცით თუ არა, რომ წულცი ქიმიური ნაერთსა და იგი წულასიანსა და ეანგბადისგან შედეგად წულს გარეშე აღმნიშნის არსებობა წარმოუდგენელია. ზელ-პირის დასახანად მარტო წულცი არაა საქმისი, და თქვენ პირახანზე დადებულ საბოს იღებთ; აქაც ქიმიის ერთ-ერთი პროდუქტიან გავს საქმე და თქვენ საბის მოქმედებაც კახზე, ქიმიურ პროდუქტსა.

თქვენი, დავგარდათ სთილის ან ღამის ანებია, ან ღელისი გაჩაღება, ამისთვის სასის მიმართება, ამას იგი ქიმიური წარმოების პროდუქტია, მის დასახანად დასაქმარა იხეთი ქიმიური ნივთიერებანი, რაცობრივად: წითელი ფოსფორი, ბერილიუმი მარცხი, დაფშენილი მინა და სხვ. თვით ანების პროცესიც წმინდა ქიმიური მოვლიანა.

ზომ გუყვართ ღამისი ფერის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს ჩაცმ-ტარება. ბილი ქსოვილისა და თაყუდულისი შეღებვა ქიმიური პროცესების გარეშე შეუძლებელია.

აი, თქვენ უკვე სკოლაში მიდისხართ და თან მივაქვთ ჩანთა, რომელიც ვაყვებთა ვიგებთ, რაცულობი, მინისა

თუ პლასტმასის სამელნე მელნი, კალმა, ქაღალდები, ფერად-ფერადი ფანტრები... აველა ესენი სხვადასხვა ნივთიერებთა ქიმიური გარდაქმნის შედეგადანა მიღებულნი. ათი ცოცხელ ქიმიური ნაერთია, მის თავისი ქიმიური ფორმლა აქვს. თუ ტანსაცმის მელნი, ქიმიური ფანტრია, ხელის წვეთი, ამ რომელიმე სხვა ნივთიერებით დაეგვარათ, მაქვთის მოსაცილებლად აუცილებლად იხვე ქიმიას უნდა მიმართოთ.

უფოფ იცნობთ ჩვენი ქვეყნის მრავალ ქაქასა და სოფელს, რომლებიც მეტად ღამისა და კეთილმოწყობილი. ამ სილამაში შექმნასიუ უსუალოდ მოწარმებობს ქიმიკა, ფხარტებასა და ქარხნებში, ქიმიის გამოყენებით, აღმნიშნის უკველდღური ნაჭირებისთვის მდლიობით სხვადასხვა სახის პროდუქტა მზადდება. ჩვენი სოფლის მეურნეობა, უკველდღურად, ქიმიურ ქარხნებში დაწვავებულ მილიონ ტონებით მინარტლარ სასუქებს იყენებს მოსავლიანობის გასაძლებლად და აგრეთვე ათავსებენ "არტიპრატს" — მიღებულ მოსავლის დასაცავად.

ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა ტრანსპორტს: ტრამვაის, ტროლეიბუსს, ავტობუსს, მატარებელს, გემს, თვითმფრინავს და სხვ. უკველი შოთფისს გაყოფთა კი მთლიანანა დაეკუშრებულა, ქიმიის გარეშე ტრანსპორტის ის სახეები არ ვეწმენდა.

ახლან უკველს გამოვავლიათ ამა თუ იმ სახის ავადმყოფობა, მივიღიანთ ქიმიის მიერ გამოწერილი წამალი; მაგრამ, იცით თუ არა, რომ უკველი წამალი (ილი, სტრატოცილი, პირამიდონი და მრავალი სხვა), ეს — ქიმიური ნივთიერება ამ ქიმიური ნაერთია.

შეიძლება თქვენ არა კი იცით, რომ აღმნიშნის ორგანიზმი დახლოებით 60-მდე სხვადასხვა ქიმიური ელემენტისგან შედგება, რომლებიც გარკვეულ რაოდენობებში ორგანიზმს სიცოცხლისთვის.

ქიმიის დამარტებთ შეგიძლიათ ფრად ახლოდ ზეწილის ბუნებ და საინტერესო, ჯერ კიდევ ბურუნის მიცულ სახელმწიფოების, გამოიყენონ მისი ძალბი თქვენი ზედნივთიანობების.

როგორც ხედავთ, ქიმიის ცხოველმყოფელი ძალა აველანდ იცნობთ, თქვენ უკველითის გავით ქიმიასთან საქმე, მაგრამ ის ურთიერთობა მხარტებთ თქვენდა შემწინდლად, შვედლად, უკველდღარი მსურის გარეშე.

შევაწვდით და შეიყვარეთ ქიმიკა — იგი თქვენი საუყუთესი მეგობარი და განუტეული თანამგვარი იქნება აველგან და უკველითის, უკველ გარეშეობაში, უკველდღური ცხოვრებაში.

3. გეგმარამი,

საკრატეელს სარ პედაგოგიურ მეცნიერებათა სახეცხიროსაკველი ინსტიტუტის მეცნიერი გუშეი.



სახსოვარი

მირიამ ნაკვილი

ქოსეს და ქარტავს, ქოსეს და ქარტავს,
 არ ელგება ხელი, თვალთ.
 ხმა გავარდა, ციქნა ციქნა
 მოქსოვთა ეკლისი ხალი;

ერთმანეთთან გატეტული,
 ზევა ზევა მურჩივებია,
 აქეთ-იქით ხევა რავი
 მუგანედ ჩაირტებია.

ეკლისი ხალი მეგრი ენახე,
 არ მინახებ უკეთესი;
 თითქმის არმში წყალი მიდის,
 ზედ მუშაობს უკვე ჰესი.

ჩინელ ბავშვებს გავებანა,
 სახსოვარი ფერყანტალი,
 მზის სხივებით მოქსოვით
 თვალმარტავთ ეკლისი ხალი.






დარვიში და ჩალვა

ერთმა კაცმა დერვიშს ჩალმა მოსტაცა და გაიქცა. დერვიში წავიდა და სასაფლაოზე დაჯდა. გაკვირვებულმა ხალხმა ჰკითხა:

— იმ კაცმა შენი ჩალმა ბალის მხარეს წაიღო. სასაფლაოზე რატომ ხიხარ და რას აკეთებ?

— ბოლოს ისიც სასაფლაოზე მოვა. იმიტომაც აქ ველოდები, — უპასუხა დერვიშმა.



ქუნწი და ბეჭედი

ერთ კაცს ქუნწი მეგობარი ჰყავდა. ერთხელ ამ კაცმა ქუნწს უთხრა:

— დღეს სამოგზაუროდ მივდივარ. შენი ბეჭედი მომეცი. ყოველთვის თან ვიქონიებ და, როცა კი დაგვხვდები, შენ გაგიხსენებ.

— თუ ჩემი გახსენება გინდა, როცა კი შენს თითს ცარიელს დაინახავ, მაშინ მომიგონე, რომ ამა და ამ კაცს ბეჭედი ვთხოვე და არ მომცაო, — უპასუხა ქუნწმა.

ქურდი და ცხენის პატრონი

ერთი ქურდი ცხენის მოსაპარად ვიღაც კაცის სადგომში შეიპარა. მაგრამ გაუგეს და დაიჭირეს.



ცხენის პატრონმა უთხრა ქურდს: — თუ ცხენის ქურდობის სიბრძნეს მიჩვენებ, გაგათავისუფლებ.

ქურდი დათანხმდა და ცხენს მიუახლოვდა, დაბორკილ ფეხებზე თოკი შეხსნა, შემდეგ ლაგამი ამოსდო, მოახტა და გააქენა.

— აი, უყურე, ასე უნდა ცხენის მოპარვა! — მიადახა ცხენის პატრონს.

ცხენის პატრონმა ბევრი სდია, მაგრამ ველარ დაეწია.



მეჩაკალი და უცნობი კაცი

ერთი კაცი წერილს წერდა. ვიღაც უცნობი მის მახლობლად იჯდა და წერილში ჩასცქეროდა. იმ კაცმა ჩაწერა: „ვიღაც უცნობი სულელი ჩემს მახლობლად ზის და წერილს კითხულობს. ამიტომაც საიდუმლოს არაფერს ვწერ“.

— მაშ მე სულელად მთვლი? — იწყინა უცნობმა, — რატომ არ დაწერე საიდუმლო, არც მიფიქრია შენი წერილის წაკითხვა.

— თუ ჩემი წერილი არ წაგიკითხავს, საიდან გაიგე, რომ ასეთი რამ ჩავწერე? — უპასუხა მწერალმა.

ხელმწიფე და სოვდაგარანი

ერთხელ ხელმწიფესთან სოვდაგარები მივიდნენ და ცხენები მიართვეს. ხელმწიფეს ცხენები მოეწონა და იყიდა. თანაც ფასის გადამეტებით ორასი ათასი რუპია მისცა და უბრძანა, — კიდევ მომიყვანეთ თქვენი ქვეყნიდან ცხენებიო.

სოვდაგარები წავიდნენ. ერთ დღეს ხელმწიფე კარგ გუნებაზე იყო და ვეზირს უბრძანა — სულელების სია შემიდგინეო.

— უკვე შედგენილი მაქვს, — მოახსენა ვეზირმა. — პირველი თქვენი უდიდებულესობის სახელი ჩაეწერე.

— რატომ? — იკითხა გაოცებულმა ხელმწიფემ.

— სოვდაგარებს რომ ორასი ათასი რუპია უბოძე ცხენების მოსაყვანად, ყოველგვარი თავდებობისა და მათი ადგილ-საცხოვრებლის ცოდნის გარეშე, ეს სისულელის ნიშანია, — უპასუხა ვეზირმა.

— რომ მოიყვანონ ცხენები, მაშინ რაღას იზამ? — ბრძანა ხელმწიფემ.

— თუ მოიყვანენ, — მოახსენა ვეზირმა, — მაშინ თქვენს უდიდებულესობას ამოვშლი სულელების სიიდან და სამაგიეროდ ჩემს თავს ჩაეწერ.



ლეონდა სინაძე



საქართველოში მრავალი სოფლის, ადგილის თუ ძეგლის სახელწოდება ლეგენდასთან არის დაკავშირებული. თითქმის იგივე უნდა ითქვას მეტეხის შესახებაც.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოში მეტეხის სახელს ატარებს ორი ადგილი — ერთი, თბილისში ამაღლებული მთიანი ბორცვი, სადაც დღემდე დგას მეტეხის ცნობილი ტაძარი და მეორე, დღევანდელი კასპის რაიონში მდინარე მტკვრის ნაპირზე მდებარე სოფელი მეტეხი, სადაც ასევე დგას ძველი მონასტერი.

ლეგენდა მოგვითხრობს: როდესაც საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასალი (ვახტანგ პირველად წოდებული) ჯერ კიდევ პატარა ყოფილა, ქართლს დასცემია ბაყათარი, მოუტაცია ვახტანგის და, ტყვედ წაუყვანია. დედას ეს ამბავი ვახტანგისათვის არ გაუხეღია, და არც აპირებდა გამხელას მანამდე, ვიდრე ვახტანგი არ გაიზრდებოდა და არ გამეფდებოდა. მაგრამ ერთმა შემთხვევამ მოულოდნელად ყველაფერი გამოაშკარავა. ერთხელ, ვახტანგი თავის ტოლებში თამაშობდა და რაღაც მიზეზის გამო ერთ მოთამაშეთაგანს ლოყაში სილა გააწნა. გულმოსულმა ამხანაგმა ვახტანგს უთხრა: „აქ რას იკრივები, თუ ყოჩაღი ხარ, წადი და შენი და დაიხსენი ბაყათარისაგან, რომელსაც იგი ტყვედ ჰყავსო“. ეს სიტყვები რომ ვახტანგმა გაიგონა, ძალიან ეწყინა და მაშინვე სირბილით შინსაკენ გამოეშურა. მივიდა დედასთან, კალთასთან მიუჯდა, მიუალერსა და უთხრა: „დედი, ძუძუ მომეცი, შინდა უკანასკნელად მოვწოვო და სიჭაბუკეს გამოვეთხოვო“. დედას ჯერ გაუკვირდა შვილის ასეთი საქციელი, მაგრამ მერე ძუძუ მისცა. ვახტანგი ეამბოროა დედის მკერდს. შემდეგ კი ძუძუს კბილები მოუჭირა და დედას უთხრა: „მითხარი სად არის ჩემი დაი. თორემ ძუძუს მოგაკვნეტავო“. დედა პირველად უარზე დადგა, მაგრამ ვახტანგი აღარ მოეშვა და დედამაც ყველაფერი დაწვრილებით უამბო და ბოლოს ასე უთხრა: „ამ ამბავს, შვილი, აქამდისინ გიმალავდი და ახლა, როცა დავაუკაცდი, შენ იცი როგორ უშველი შენს დასა და საქართველოს.“

ვახტანგი ამის შემდეგ გულმოდგინედ შეუდგა მზადებას, ჯარის მოგროვებას და, სხვათა შორის, თავის განზრახვაზე დასაც საიდუმლო ბარათი გაუგზავნა. დამ წერილით უბასუხა: „ბაყათარი, ძმაო, გოლიათი კაცია, მას ბევრი ფალავანი გამოუსალმებია ამ წუთისოფლისათვის და უმჯობესია შენს განზრახვაზე ხელი აიღო. მაგრამ თუ მაინცა და მაინც არ დაგიშლია, გატყობინებ, რომ ბაყათარის მოკვლა მარტო ილღიაში დაჭრით შეიძლება, რადგან ის მუღამ ჯაჭვ-აბჯრით შეჭურვილი დადის“.

ვახტანგმა ჯარი მოამზადა თუ არა, ბაყათარს კაცი გაუგზავნა და საომრად გამოითხოვა. ბაყათარი ჯავრისაგან პირდაპირ ცეცხლსა ჰყრიდა. მან შეკრიბა თავისი ლაშქარი და გამოემართა ვახტანგთან საომრად.

მოვიდა ბაყათარი. დადგა მტკვრის მეორე ნაპირას. ვახტანგმა პირველმა გამოიწვია ის. ბაყათარმა ვახტანგს ფიცი ჩამოართვა, რომ ვიდრე წყალს გამოვიდოდე, ისარი არ მესროლოო, და ცხენი მტკვარში შეაგდო. მოაპობდა ცხენი ტალღებს და ვახტანგი თვალს არ ამორებდა გალაღებულ ბაყათარს, რომელიც ცხენს ძლივს უჭერდა სადავეს.

ვახტანგმა უცბად თვალი მოჰკრა, რომ ბაყათარს ილღიაში ღია ადგილი მოუჩანდა, იდროვა და თვალის დახამხამებაში ისე მარჯვედ სტყორცნა ისარი, რომ სასიკვდილოდ დაჭრილი ბაყათარი ცხენიდან გადმოვარდა და მტკვრის ტალღებმა ქვევით გააქანეს. შედრკა ბაყათარის ჯარი. ვახტანგი კვლდაკვალ მიჰყვა მათ. შევიდა ციხე-სიმაგრეში, დაიპყრო იგი. გაათავისუფლა თავისი და და მცხეთაში მშვიდობიანად დაბრუნდა...

ფიცის გატეხის მოსანანიებლად ვახტანგმა ააგო ხუთი ტაძარი: აღმოსავლეთისაკენ — წილგნისა, სამხრეთისაკენ — სიონისა (თბილისში), დასავლეთისაკენ — ერთაწმინდისა, ჩრდილოეთისაკენ — სამთავისისა, და მათ შორის მეტეხის ტაძარი, რომელსაც უწოდა ეს სახელი ნიშნად იმისა, რომ აქ მე ვტეხე ფიციო.

დიდი ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ისნს არს კიდესა მტკვრისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა ეკლესია მეტეხი“. მაგრამ იგი არაფერს ამჟ



ბობს სახელწოდება „მეტეხის“ წარმოშობის შესახებ.

ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ ორივე ადგილი, როგორც თბილისში, ისე კასპის რაიონის სოფელ მეტეხში, ბორცვიანია. უთუოდ ჯერ კიდევ წარმართულ ეპოქაში ამ ორივე ადგილს უნდა მდგარიყო ქართველთა ჰეჰა-ქუხილის ღმერთის ხატება. რადგან მეხი უმეტესად ამაღლებულ ადგილს ეცემა ხოლმე, შეიძლება „მეტეხი“ მეხისტებისაგან იყოს წარმოშობილი. ზოგიერთი მკვლევარი მას ბერძნული წარმოშობისად მიიჩნევს, რაც სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს.

3. სიღამონიძე

„ღიასსახლისი“

ნახ. გაიანე ქუთათელაძისა

ეროვნული
მუზეუმი

შე, რას წვალობს ეს გოგო,
.გაწამაწიაშია,
აქეთ-იქით რომ დარბის
ნეტავ საქმე რაშია?

უკვე მივხვდი, — ავად ჰყავს
დედა ხანშიშესული,
მამა სამსახურშია,
ეს ტრიალებს, ეს უვლის.

მაგრამ საქმე, არ იქნა,
არ გამოდის ხელიდან,
დანით თითი გაიჭრა,
სისხლი მოდის ცერიდან:

ერბო-კვერცხი დაეწვა,
რძეც დაექცა დუღილში,
ავადმყოფი ჯავრობს და
არის მოთქმა-წუხილში.

კარტოფილი ვერ გაფცქვნა,
დააქცია წამალი...
მაგიდაზე ოთახში
შემოფრინდა მამალი,

შეყვივლებით თითქოს თქვ:
— ხარ არაფრის მაქნისი,
შევარცხვინე ასეთი
„მარჯვე“ ღიასსახლისი!



„ღიასსახლისი“

ჩვენი მზიას ოთახი
არასოდეს გინახავთ?
ვერ გაიგებთ ვერსადროს, —
იგი სად რას ინახავს!

რას დაეძებს ნეტავი,
თავი რად დაუხრია?
წიგნები და დღიური
მაგიდის ქვეშ უყრია.

რად შემძვრალა საწოლქვეშ,
რას დაეძებს გოგონა?
ფეხსაცმელი მონახა,
იატაკზე მოგორავს!

ჩვენი მზიას ოთახი
მუდამ ანგრეულია,

როცა რამეს ეტყვიან,
ჯავრობს, დიდი გული აქვს.

დღით როცა ადგება,
საწოლს განა ასწორებს,
სარკის წინ დგას, თავისთავს
ისევ თვითონ აწონებს!

როცა მიდის სკოლაში,
როცა უკან ბრუნდება,
დაკარგული ნივთების
მუდამ ძებნას უნდება.

ჩვენი მზიას ოთახი
არასოდეს გინახავთ?
ვერ გაიგებთ ვერსადროს, —
იგი სად რას ინახავს!



„ოსტატის“

გუშინ ბებოს კოხტა სკამს
ცალი ფეხი გაუტყდა,
მე, მე შეგიკეთებო, —
გია ბებოს აუტყდა.

მოიტანა ჩაქუჩი,
შალაშინი, გაზი და
იარაღი და სკამიც
მან ეზოში გაზიდა.

ატრიალა, აჭედა,
იქიდან თუ აქედან
ვერ იქნა და, ოსტატმა
სკამი ვერ შეაკეთა.

ხერხა, აშალაშინა,
დაიქანცა ძალიან,
თავი ისე მოჭქონდა,
ვითომ ხელოსანია.

შეაკეთა კი არა, —
გსურთ გაიგოთ რა მოხდა?
სკამი სულ დაამტვრია,
საწყალს სული ამოხდა.

იქვე ეზოს ბავშვებმა
გია ისე შეაქვს,
რომ ხელოსნის მაგივრად
„ცრუ ოსტატი“ შეარქვეს!



დღეობა

დღეობა აქვს მანანას,
შეხეთ რა ამბავშია,
ნაირ-ნაირ საჩუქრის
მოყვარული ბავშვია.

ტკბილეულსაც ამზადებს
მზარეული დამწეები,
ეხმარება დედამისს,
დაამზადა ნამცხვრები.

კობტა, ჭრელი ჭაჭვები
აქეთ-იქით დაჰყიდა,
ყველაფერი მზად არის
სტუმრებს ელის მაგიდა.

ჰა, სტუმრებიც გამოჩნენ,
ხტის მანანა, ხალისობს,
მოყვარული დღეობის,
საჩუქრებით აივსო.

უფროსებიც იღხენენ,
გააჩაღეს თამაში,
გართულია მანანა
ტკბილეულის ჭამაში.

ბევრი იმხიარულეს,
იმღერეს და იცინეს.
შუალამე ჩამოწვა,
გოგო აღარ იძინებს.

არხეინად დამჯდარა,
უფროსებთან კამათობს,
სვამს და ყლაპავს ლიმონათს, —
გოგონებთან თამაძობს.

გათენდება საცაა,
მზეც ამოვა ცხრათვალა,
ჩუმად გაძვრა ოთახში,
საჩუქრები დათვალა.

კაბიანად წამოწვა,
არც გაიხსნა ღილები,
დრო არ ჰქონდა ესწავლა
ხვალის გაკვეთილები.

დილით, როცა წავიდა,
გზაში ნელა იარა,
უძინარმა სკოლაში
კიდევ დააგვიანა.



გაკვეთილი ვერ უთხრა,
მიღის, ფეხებს მიათრევს,
და დღეობის მოყვარულს
ორიანი მიაბრუნებს!



ყანა გვეძახის


მომკალს ეძახის მინდორი
შემოსულაო თავთუხი,
გაეღიმება მხვნელ-მთესველს
სამკალი ყანა თავს უხრის.

მოგვესმის სოფლის ძახილი,
დიდების შემონათვალი:
მოგვეშველეთო ნორჩებო,
აკრიფეთ ოქროს თავთავი.

სწავლა დამთავრდა, იქ არის
ჩვენი საქმე და ადგილი;
მზეც თითქოს მინდვრად გვეძახის,
ისე კაშკაშებს ამ დილით.

გვალადებს ტურფა სამშობლო,
მისი მთები და ველები,
მინდვრად ვჭირდებით? მზადა ვართ,
წავალთ და მივეშველებით!

იოსებ ნალაგვილი



ქალაქი ურანში

კაპელმეისტერმა ლეობლდ მოცარტმა კარი გამოაღო და ვაჟიშვილს გასცა: ვოლფგანგ, შინ შემოდიო.

თამაშობისაგან ლოყებაწითლებულმა ბიჭუნამ ოთახში შემოიბრინა. კაპელმეისტერმა გულის ჯიბიდან ნოტის ორი ქაღალდი ამოიღო:

— ამ ნოტებს ბატონ ღირექტორს მიუტან. გადაეცი ჩემი სალამი და უთხარი, რომ ვუგზავნი მენუეტს, რომელიც მისი ქალიშვილისათვის დაწერე.

ბიჭმა აიღო ნოტები და გაეშურა მარტლაკისკენ, სადაც ღირექტორი ცხოვრობდა. ქუჩაში ისეთი ძლიერი ქარი ჰქროდა, რომ ზოგიერთი ბატონი თავიდან გადაგლეჯილ ქუდს მისდევდა.

ზალცახს ტალღები აეჟოჩრა. პატარა მოცარტს უყვარდა მდინარის პირას ხეტიალი. ალტაცებით უმზერდა წყლის სწრაფ დინებას.

ვოლფგანგს მამის დავალება გადავიწყებოდა. იდგა ხიდზე და დასცქეროდა მომწვანო, მონაცრისფრო ტალღებს, რომლებიც ხან მთებივით აიმართებოდნენ, ხან კი მიწდორივით გაიშლებოდნენ. უცებ ქარმა მძლავრად დაუბერა, ბიჭს ხელიდან ნოტები გამოვლიჯა, მაღლა აიტაცა, ერთხანს ჰაერში ატრიალა და ბოლოს ზალცახის აქაფებულ ზვირთებს დააფინა.

იღმა პატარა ვოლფგანგი და ისე იყო სასოწარკვეთილი, რომ ლამის ნოტებს მდინარეში თან გადაყოლოდა.

— მამა გაიგებს... — ჩურჩულებ-

ნახ. თ. სამსონაძის

და იგი, — მერე რა მკაცრია მამაჩემი, უეჭველად დამხვს! ნეტავი ნოტები ჯიბეში ჩამეწყო!

ნაღვლიანმა დასტოვა ხიდი. ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში, ვიდრე მათ შორის ყველაზე უკეთესს არ ჩაეჭიდა:

„აქვე კუთხეში ხომ ჩემი მეგობარი ფრიდრიხი ცხოვრობს, თუ სახლშია, აუცილებლად დამეხმარება. ახ, ნეტავი შინ დამხვდეს!“

ხუთი წუთის შემდეგ, პატარა მოცარტი თავის მეგობრის პირდაპირ იჯდა. სთხოვა, ქაღალდი და კალამი მომიტანეო. შემდეგ ერთ წუთს დაფიქრდა, ვიდრე პირველ ნოტს თეთრ ქაღალდზე გადაიტანდა. მეგობარი ცნობისმოყვარეობით დაჰყურებდა მხრებს ზემოდან. მალე დაიფარა თეთრი ქაღალდი შავი ნოტებით. ერთი-ორი შტრიხიც, და გახარებულმა ვოლფგანგმა ფურცელი ჯიბეში ჩაიღო.

— მაღლობელი ვარ, ფრიდრიხ, — უთხრა თავაზიანად, — მე არ ვიცი უშენოდ რა მეშველებოდა, ახლა კი სასწრაფოდ ბატონ ღირექტორთან უნდა გავიქცე.

თხუთმეტოიდე წუთში ვოლფგანგი უკვე შინ დაბრუნდა.

* * *

— ბატონო კაპელმეისტერო, უნდა გამოგიტყდეთ, რომ განსაკუთრებით მომეწონა მენუეტი, რომელიც ჩემი ქალიშვილისათვის დაგიწერათ. — უთხრა ღირექტორმა ლეობლდ მოცარტს, რომელიც მეორე

დღეს სტუმრად ეწვია. — იმწამსვე ვგრძნობა, რომ ჰემარტოვანობის შექმნილია. ამალიც...

ქერა გოგონა კლავესინს მიუჯდა, ნოტები წინ დაიდო და დაკვრა დაიწყო.

— ეგ ჩემი მენუეტი არ არის, — წამოიძახა კაპელმეისტერმა პირველივე ტაქტის შემდეგ. — მე ასეთი რამ სულაც არ დამიწერია!

— რას ამბობთ, ბატონო კაპელმეისტერო! თვითონ თქვენს ვაჟიშვილს ვოლფგანგს რომ არ მოეტანა, კიდევ შეიძლებოდა დაეჭვება, მაგრამ ახლა რა უნდა იფიქროს კაცმა? — მიუგო გოაცებულმა ღირექტორმა.

ლეობლდ მოცარტმა ნოტებს ხელი დაავლო და მასპინძელს გამოეთხოვა.

— ვოლფგანგ, ეს რა ნოტებია? — ოთახში შესვლისთანავე ჰკითხა თავის ვაჟს. პატარამ ტირილი დაიწყო. გვიანლა მიხვდა მამა, რომ ნოტები ვოლფგანგის დაწერილი იყო.

— შემეშინდა და იმიტომ დავწერე, — ჩურჩულვდა დარცხვენით.


კაპელმეისტერმა ვაჟიშვილს პაწაწინა თავზე ხელი გადაუსვა. — იცი, როგორ გამახარე ამ ამბით. აფსუსს, რომ აქამდე არ ვიცოდო!

და როდესაც პატარა მოცარტი მამისს გაკვირვებული თვალებით მიაჩერდა, კაპელმეისტერმა დასძინა:

— დიახ, მახარებს იმის ფიქრი, თუ შენგან როგორი ხელოვანი დადგება, როდესაც შიშით კი არა, არამედ ხალისითა და სიყვარულით დაწერ.

გერმანულიდან თარგმანა

შ. ამირანაშვილმა



ზღვის ყაჩაღები

ტურისტული რაზმის ხელმძღვანელმა ჩქარი სიარულისაგან გახვითქული სახე კარავში შემოყო და დაიყვირა:

— ადექით, ბიჭებო! ზღვაზე რალაც ამბავია!

სწრაფად ჩავიცივით და კარავიდან გამოვცვივდით. რაზმის ხელმძღვანელი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ფლატეზე. ზღვიდან რალაცნაირი ღმუილი და ღრიალი ისმოდა. გაოგნებულნი ვიდექით, ვერაფერს მივხვდით.



წყლიდან ამოჩრილ ბრტყელ ქიმზე რამდენიმე ათეულ ვეებერთელა სელაპს მოეყარა თავი. ისინი სრიალა ქვებზე უშნო ბობღვით ხან წყალთან, კუნძულის ნაპირზე მივიდოდნენ. ხანაც წყლის ნაპირიდან შეშინებულ-

ნი განზე ხტებოდნენ. მხეცები დაბალი, ყრუ ხმით ღრიალებდნენ. პირველად ვერ მივხვდით, მაგრამ შემდეგ ყველაფერი გასაგები გახდა.

აღმოსავლეთ კამჩატკის ერთ-ერთი კლდოვანი მთაგრებილით შემოღობილი ყურე, სადაც ბრტყელი კუნძული იყო, სელაპების, ამ ზარმაცი ცხოველების საყვარელ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა. ამ ადგილს ჩვეულებრივად „სელაპიანი“ ჰქვია. და სწორედ აი, აქ, ამ ყურეში

კლდეებს შორის ფართო გასასვლელით შემოჭრილიყო ხუთი გაუმაძღარი ზღვის ყაჩაღი, რომელსაც ვეშაპზე მონადირენი „ვეშაპ-მკვლელებს“ უწოდებენ.

„ვეშაპ-მკვლელები“ თითქოს წი-



ნასწარ შედგენილი გეგმით მოქმედებდნენ. სამი მათგანი ზურგის ფარფლებს იქნევდა, წყლიდან თითქმის მთელი სხეულით ხტებოდა და თან კუნძულის ნაპირის გასწვრივ დასრიალებდა ისე, რომ სელაპებს საშუალებას არ აძლევდა კუნძულზე ასულიყვნენ. დანარჩენი ორი კი სელაპების ჯოგში ტრიალებდა და ცხოველებს მუსრს ავლებდა. ისინი, როგორც მგლები, უფრო მეტს ხოცავდნენ ვიდრე ჭამდნენ.

წყალში მომწყვდეული სელაპები ცდილობდნენ სიკვდილის რკალი გაერღვიათ, მაგრამ ამაოდ. დროდადრო წყალი საშინლად დუღდა, ბრძოლის შუაგულში, აქაფებულ ტალღებს შორის დახოცილი სელაპები ტივტივებდნენ. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი სელაპები წყლიდან ერთი-ორი მეტრის სიმაღლეზე ხტებოდნენ, მაგრამ ისევ ტალღებს ეხეთქებოდნენ და „ვეშაპ-მკვლელთა“ ყბები მათ ნაკუწებად გლეჯდნენ... ზღვის „ყაჩაღებმა“ გული იჯერეს. ერთი მეორის მიყოლებით, აუჩქარებლად გასცურეს ყურე და ოკეანის ტალღებს შეიერივნენ. ყურეში კი წყლის ზედაპირზე მოტივტივე, დახოცილი სელაპები ნაფლეთები დატოვეს.

0. ივანოვი

ზე, რომლის ქვეშ პლატონი რეჟისორს კითხულობდა

მარად მწვანე, მარვალყამიერ ცოცხალ ხეს ეძახიან ზეთის ხილის ხეს. იგი უძველესი დროინდელი კულტურაა. ამას ისიც მოწმობს, რომ საბერძნეთის დედაქალაქ ათენში დღესაც ხარობს და ნაყოფს ისხამს ზეთის ხილის ის ხე, რომლის ქვეშ თავის მოწაფეებს ლექსებს უკითხავდა და ასწავლიდა ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი.

ზეთის ხილის სამშობლოდ პალესტინას, სირიას, ეგვიპტესა და საბერძნეთს თვლიან.

ზეთის ხილის ხემ თავისი ნაყოფით და ნაყოფის კურკის გულში, არსე-

ბული ზეთით გაითქვა სახელი. იგი დიდად გავრცელებულია ინდოეთში, იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში... ხარობს ჩვენშიც.

ზეთის ხილის ზეთი მდიდარია „ა“ და „ცე“ ვიტამინებით, ამ ზეთს ეძახიან სწორედ პროვანსის ზეთს.

ზეთის ხილის ნაყოფში მოიპოვება ღვინისა და ლიმონის სიმკვარეები. ზეთის ხილის ნაყოფი გამოყენებულია საკონსერვო წარმოებაში. მისი ნაყოფი კარგი საჭმელია, მარგებელია და სამკურნალო. მცენარის ამ თვისებებისათვის ყუარდლება მიუქცევია გარსევან ჩოლოყაშვილს, იგი თავის





ქინაქინა) უწოდეს. შეისწავლეს რა ამ ნივთიერების მოლეკულათა აგებულება ქიმიკოსებმა შემდეგში იგი შეცვალეს ხილვადური პრეპარატით, რომელიც მალარიის საწინააღმდეგო აქტიურ საშუალებას წარმოადგენს.

წყალი მთვარაზე

ამერიკელმა მეცნიერმა ტომას გოლდმა ამას წინათ წამოაყენა ვარაუდი, რომ მთვარეზე, ზოგიერთ ღრმულში, არსებობს წყალი, რომელიც ყინულითა დაფარული ყინულის სფეროვლი ამ ღრმულეებში მდგარ წყალს აორთქლებსაგან იცავს. მეცნიერის აზრით, ყინულის სისქე ზოგიერთ ადგილას არ არის დიდი და, მაშასადამე, იქ არსებული წყლის გამოყენება შეუძლიათ ოდესმე მთვარეზე გადამსხლარ ადამიანებს.

რამდენად მავნა თაშაბაქო?

ნობელის პრემიის ლაურეატმა, ქიმიის მეცნიერებთან დოქტორმა ლაინუს პოლიანგმა ტორონტოს (კანადა) უნივერსიტეტის მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე შემდეგი რამ განაცხადა: თითოეული თაშაბაქოს მწველი, რომელიც ყოველდღე ერთ შეკვრა (საშუალოდ 20 ცალი) სიგარეტს ეწევა, თავის სიცოცხლეს იმყოფებს რვა წლით, ხოლო ვინც დღეში ორ შეკვრას წევს, იგი 18 წლით იახლოვებს სიკვდილს.

— ყოველივე ეს უტყუარი ფაქტია და ამის დამტკიცება ადვილად შეიძლება ციფრებით! — განაცხადა მეცნიერმა. მისი აზრით, ავტომობილების კატასტროფები ხუთჯერ ნაკლებად იწირავენ ადამიანთა სიცოცხლეს, ვიდრე თაშაბაქო.

სიხალე

კონსერვების დამზადებაში

ინგლისის საკონსერვო ფირმაში გამოუშვა სუპისა და რძის პროდუქტების დიდი ასორტიმენტი. ლითონის კოლოფის ფსკერზე მიმაგრებულია პატარა ამპულები, ქიმიური

...ადრიატიკის მარგალიტს“ — ვენეციას, სადაც 118 კუნძული და 160 არხია, სერიოზული საფრთხე ემუქრება. იტალიელი სპეციალისტების მტკიცებით, ნიადაგის დაწვისა და ზღვის დონის ამაღლების შედეგად, ეს ქალაქი ყოველ ათ წელიწადში 5 სანტიმეტრით იძირება წყალში. თუ ეს პროცესი არ იქნა შეჩერებული, მოვა დრო, როცა ვენეციის ადგილას ისეირნებენ ადრიატიკის ზღვის მღვრიე-ყვითელი ტალღები, რომელთა ზემოთ მხოლოდ ეკლესიების სამრეკლოებიღა გამოჩნდება.



საიდან ბანჯა მინაპინა?

როცა მე-16 საუკუნეში ესპანელი კოლონიზატორები იოლი გამდიდრების მიზნით სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს მიაწყდნენ, მათ იქ, მოულოდნელად, უღმობელი მტერი შემოეყარათ. ეს მტერი იყო მალარია, — მძიმე, ჭანგამომცლებელი ციება, რომელიც ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ ამერიკის ჭაობიან და ნოტიო ჰავიან ადგილებში. ათასობით ადამიანი იღუპებოდა მისგან. საუკეთესო ექიმებიც კი უძლური აღმოჩნდნენ ამ სნეულების წინააღმდეგ. მხოლოდ ერთი რამ იყო ცნობილი: ადგილობრივი ექიმებაში ინდიელები ავადმყოფს წარმატებით კურნავდნენ რომელიღაც, ევროპელთათვის უცნობი ხის ქერქით.

ძალიან დიდხანს დარჩა გამოუცნობი ეს სასწაულმოქმედი საშუალება. მაგრამ აი, 1688 წელს, პერუს ვიცე-მეფის მეუღლე გრაფინია ცინხონა ამ ხის ქერქით განიკურნა ციებისაგან. ციებისაგან განკურნებული პირველი თეთრკანიანი ქალის პატივსაცემად, ხეს „ხინხონა“ ანუ „ხინა“ დაერქვა. ხოლო ქერქისაგან დამზადებულ სამკურნალო ნივთიერებას „ხინინი“ (ქართულად

ბუჭი — შური სმამიბამლი

დოქტორმა შლინგერმა (კალიფორნიის უნივერსიტეტი) აღნიშნა ბუჭების 78 სახეობა, რომელთა დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მთელ თავიანთ მატლობის პერიოდს ატარებენ ობობას გვამში და ნელ-ნელა ჭამენ მას.

სასარგებლოა თუ არა ცრემლი?

სახელგანთქმულმა ინგლისელმა მეცნიერმა, პენცილინის შემქმნელმა ალექსანდრე ფლემინგმა პირველმა შენიშნა, რომ ცრემლი, ეს უბრალო წყალი როდია. ცრემლის შემადგენლობაში შედის ეგრეთ წოდებული ლიცოზმი — ნივთიერება, რომელიც კლავს მიკრობებს. იგი 5-10 წუთის განმავლობაში უვნებელს ხდის ბაქტერიებს, მათთან ერთად, პოლიომედიტის ვირუსებსაც. ლიცოზმი თვალებსაც კარგ დეზინფექციას უკეთებს. აი, რატომ არის, რომ ისეთი ნაწი ორგანო, როგორიცაა თვალები, არ ზიანდება გარშემო ატმოსფეროში მოფუსფუსე აუარებელი მიკრობებისაგან.



ცრემლი მარტო თვალებიდან როდი გამოიყოფა. იგი სასუნთქ გზებშიც შეაღწევს ხოლმე და ცხვირის ლორწოვან გარსს უღენთავს. შედის რა ცრემლთან ერთად ცხვირში, ლიცოზმი ასუფთავებს ჩვენს მიერ ჩასუნთქულ ჰაერს.



ნივთიერებით. მისი ანთება ადვილად შეიძლება პაპიროსის ცეცხლითაც კი. ამის გამო სწრაფად და იოლად, სულ რაღაც 5 წუთში ცხენდება კონსერვის კოლოფში მოთავსებული პროდუქტი. ასეთი კონსერვი განსაკუთრებით ხელსაყრელია ტურისტებისათვის, მონადირეებისა და მთიეწველებისათვის.



გამოცანები

1.

ტყეში ბაბუამ გამოთლა, სახლში მაცეკვებს ბებია, წელზე ათასი ქაძარი უწყვეტად შემოძხვევია.

ც. გაბაძე


2.

ნაირფერი კაბები მაქვს, დაფერენ ნაზი ფრთებით, მინდორ-ველის სურნელოვან ყვავილებით ვთვრები, დილის მზეზე ვიბადები და საღამოს გვედები.

3.

რა სწრაფად ქსოვს, რა ლამაზად, არც დაზგა აქვს, არც ხელები, მსხვერპლს დაუგებს ხოლმე მახეს, თქვენც ხართ ამის მნახველები.

შ. ამირანაშვილი



თავსატახი


წრეებში ციფრები ჩაისმება ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.

გამოცანა

ხიდი.

შარადა

სავათი.



ვერტიკალურად: 1. ტურგენევის პოემა; 2. კუნძული ეგეოსის ზღვაში; 3. ბერძნული მითოლოგიური გმირის — იაზონის მეუღლე; 4. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი ფარიკაობაში; 5. ლ. ტოლსტოის რომანი; 8. ირანული ფულის ერთეული; 9. სითხის ძველი საზომი; 18. ცნობილი იტალიელი მხატვარი; 21. რაიონული ცენტრი საქართველოში; 22. მცენარე.

ჰორიზონტალურად: 6. შილერის ტრილოგია; 7. მარცვლოვანი კულტურა; 10. საოჯახო ნივთი; 11. ბორბოტება ანუ... 12. ქალაქი თურქეთში; 13. ქალაქი სსრკ-ში; 14. ჭურჭელი; 15. ესპანეთის ფეხბურთის გუნდი; 16. მცენარე; 17. სახელმწიფო აღმოსავლეთში; 19. მთა თბილისის მახლობლად; 20. ქართული ანბანის პირველი ასო; 21. ნამცხვარი.

შეადგინა ზესტაფონის მე-2 საშ. სკოლის X კლ. მოსწავლე **ნ. დუგლაძემ**.

პასუხები

ელდისონის მიხვედრილობა

ელდისონი აძვრა ორთქლმავალზე და საყვირის საშუალებით დაიწყო მორზგის ანბანის გადაცემა. ქალაქში სწრაფად მიხვდნენ და ასეთივე საშუალებით უპასუხეს.

აბა, გამოიცანით!

- ერთი მოცურავე ყელამდე ჩავიდა წყალში. ამან მისი წონა საგრძნობლად შეამცირა, მეორემ ეს ვერ მოიფიქრა.
- რბენა გაგრძელდება მანამდე.

აბა, სცადეთ!

მოცემულ მართკუთხედში ფიგურები ლავდება ისე, როგორც ეს ნახვენებია ნახაზზე და იკითხება — „მშვიდობა“.

ვიდრე ირმები ბგერის სიჩქარეს მიაღწევენ, მაშინ ირმები ზარის ხმას ვეღარ გაიგონებენ და სიჩქარეც აღარ მოიმატებს.

3. შევეუღმფრენი დაფრინდა ჩრდილო პოლუსზე, ანტრაქტიკის ცენტრში. საერთაშორისო შეთანხმებით, ანტრაქტიკა სიგრძედებად არის დაყოფილი და პოლუსზე ხუთი ქვეყნის საზღვარი ებჯინება ერთმანეთს.

4. ეს თევზია — კალუგა, ხოლო მეცნიერი — ციოლკოვსკი.



ჩანახატები



ზამთარი



ეტიუდებზე



1957 წელს საქართველოს ნორჩი მხატვრის რეპუბლიკურ გამოფენაზე მოწონება დაიმსახურა გურამ დოღენჯაშვილის ნახატებმა, რომლებიც გაიგზავნა მოსკოვში და შემდეგ საერთაშორისო გამოფენაზე.

მაშინ გურამი ქუთაისის მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლაში სწავლობდა. სისტემატურად მონაწილეობდა თბილისის პიონერთა სასახლეში მოწეობილ გამოფენებზე და მისი ნამუშევრები რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.